

**ფინანსური ანგარიშგება, მმართველობის
ანგარიშგება და დამოუკიდებელი
აუდიტორის დასკვნა**

შპს Koton Textile Limited


2019 წლის 31 დეკემბერი

დოკუმენტი არის ინგლისური ორიგინალის თარგმანი)




სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	4
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	8
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	9
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	10
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	11
1 ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია	12
2 შედგენის საფუძველი	12
2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე	12
2.2 შეფასების საფუძველი	12
2.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა	12
2.4 შეფასებებისა და მოსაზრებების გამოყენება	12
2.5 ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება	13
2.6 ფინანსური ანგარიშგების გადაანგარიშება	14
3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა	14
3.1 უცხოური ვალუტა	14
3.2 ძირითადი საშუალებები	15
3.3 არამატერიალური აქტივები	15
3.4 იჯარით აღებული აქტივები	16
3.5 მარაგები	17
3.6 ფინანსური ინსტრუმენტები	17
3.7 ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	20
3.8 კაპიტალი	20
3.9 ანარიცხები	20
3.10 მოგების გადასახადი	20
3.11 შემოსავალი	21
4 ძირითადი საშუალებები	22
5 აქტივების გამოყენების უფლება	23
6 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	24
7 ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	24
8 მარაგები	25
9 კაპიტალი და რეზერვები	25
10 სესხები	25
11 იჯარა	26
12 სხვა ვალდებულებებზე გაკეთებული ანარიცხები და გაწეული დანახარჯები	28
13 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	28
14 შემოსავალი	29
15 რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	29


შპს "საბა" (საბა) და დაფუძნებულია
შპს "საბა" (საბა) და დაფუძნებულია
ფინანსური ანგარიშგება

16	გაყიდვისა და მარკეტინგის ხარჯები	29
17	ადმინისტრაციული ხარჯები	30
18	ფინანსური ხარჯები	30
19	ზარალი საკურსო სხვაობიდან	30
20	მოგების გადასახადი	30
21	შემდგომი მოვლენები	30
22	მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	31
22.1	მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები	31
22.2	ძირითადი ვარაუდები მომავალთან დაკავშირებით	32
23	ფინანსური ინსტრუმენტები	32
23.1	მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა	32
23.2	ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები	32
24	ფინანსური რისკების მართვა	33
25	კაპიტალის რისკის მართვა	35
26	გაუთვალისწინებელი გარემოებები	36
26.1	ბიზნეს გარემო	36
26.2	გადასახადები	37
27	ფინანსური საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების რეკონსილაცია	37
28	დაკავშირებული მხარეები	37
28.1	მაკონტროლებელი ურთიერთობები	37
28.2	ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან	37
29	შესადარისი ფინანსური ანგარიშგებების გადაანგარიშება	38
	მმართველობის ანგარიშგება	40



2019 წლის 31 დეკემბერი
 შპს „Poton Textile Limited“
 ვრცელდება მმართველობაზე

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს გრანტ თორნტონ
ქეთევან წამებულის გამზირი 54
0144, თბილისი, საქართველო

ტ. + 995 322 604 406

Grant Thornton LLC
54 Ketevan Tsamebuli Avenue
0144 Tbilisi, Georgia

T + 995 322 604 406

(დოკუმენტი არის ინგლისური ორიგინალის თარგმანი)

შპს Koton Textile Limited-ის დამფუძნებელს

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული შპს Koton Textile Limited-ის ("კომპანია") ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, მოგება-ზარალისა და სხვა გაერთიანებული შემოსავლების ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, აგრეთვე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვას და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - "პირობითი მოსაზრების საფუძველი" - ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს შპს Koton Textile Limited-ის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ კომპანიის აუდიტორებად დავინიშნეთ 2020 წლის 23 მარტს და შესაბამისად, ვერ შევძელით დავსწრებოდით მარაგების ფიზიკური ინვენტარიზაციის პროცესს 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ დავრწმუნდით აღნიშნული თარიღისათვის არსებული მარაგების რაოდენობის სისწორეში რომელიც ფინანსური მდგომარეობაში წარმოდგენილია 9,201 ათასი ლარის ოდენობით.

მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცი

ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების 21-ე და 22-ე შენიშვნებზე, რომლებიც აღწერს COVID-19 პანდემიის გავლენასთან დაკავშირებულ გაურკვევლობას. 2020 წლის მარტში კომპანიამ პანდემიის საპასუხოდ დახურა ყველა მაღაზია, რაც გაგრძელდა სამ თვემდე ვადით. მიუხედავად იმისა, რომ კომპანიამ მაღაზიები გახსნა 2020 წლის ივნისის დასაწყისში, ჯერ კიდევ უცნობია, თუ როდის შეიძლება მიაღწიოს გაყიდვების მოცულობამ ნორმალურ პრე-პანდემიურ დონეს. ჩვენი მოსაზრება არ არის მოდიფიცირებული ამ საკითხთან დაკავშირებით.

სხვა გარემოებათა ამსახველი აბზაცი

1. შპს Koton Textile Limited-ის 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩაატარა სხვა აუდიტორმა, რომელმაც გამოთქვა მოდიფიცირებული მოსაზრება 2019 წლის 27 სექტემბერს. მოდიფიცირების საფუძველი იყო ის, რომ მათ ვერ შეძლეს დაკვირვებოდნენ კომპანიის მარაგების ინვენტარიზაციას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რადგანაც ისინი კომპანიის აუდიტორებად დაინიშნენ 2019 წლის 19 ივნისს და შესაბამისად ვერ დარწმუნდნენ 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული მარაგების სისწორეში.
2. როგორც 29-ე განმარტებით შენიშვნაშია აღწერილი, გადაანგარიშებულია შესადარისი ინფორმაცია, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლისთვის. ჩვენ ასევე ჩავატარეთ 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების გადაანგარიშებისთვის განხორციელებული კორექტირებების აუდიტი, რომლებიც წარმოდგენილია შენიშვნა 29-ში.

მმართველობითი ანგარიშგება

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების წარდგენაზე. მმართველობის ანგარიშგება მოიცავს ინფორმაციას კომპანიის საქმიანობის შესახებ, რისკების ანალიზს, სამომავლო გეგმებს და სხვა საჭირო ინფორმაციის წარდგენას ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით.

აუდიტთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობაა წავიკითხოთ ზემოთ ხსენებული მმართველობის ანგარიშგება და შევაფასოთ არის თუ არა სხვა ინფორმაცია მატერიალურად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის დროს მიღებულ ინფორმაციასთან, ან თუ სხვა მხრივ ცანს არსებითად არასწორი.

დამატებით, ჩვენი ვალდებულებაა გამოვთქვათ მოსაზრება იმის შესახებ მომზადებულია თუ არა მმართველობის ანგარიშგება “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად და მოიცავს თუ არა ის ყველა მოთხოვნილ ინფორმაციას.

ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტის დროს გაჩეულ სამუშაოებზე დაყრდნობით, ჩვენი აზრით, ყველა მატერიალური ასპექტის გათვალისწინებით:

- მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია, იმ ფინანსური წლისთვის, რომლისთვისაც ეს ფინანსური ანგარიშგება მომზადდა, შესაბამეა ფინანსურ ანგარიშგებას; და
- მმართველობითი ანგარიშგება შეიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას და თანხმობაშია შესაბამის საკანონმდებლო ნორმატიულ აქტებთან.

ხელმძღვანელობისა და მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (ფასს) პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა აგრეთვე მოიცავს შიდა კონტროლის ისეთი სისტემის შემუშავებასა და დანერგვას, რომელიც უზრუნველყოფს თაღლითობით თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში მენეჯმენტი ვალდებულია შეაფასოს კომპანიის შესაძლებლობა გააგრძელოს საქმიანობა უწყვეტად და, საჭიროების შემთხვევაში, წარადგინოს ახსნა-განმარტებითი ინფორმაცია საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებით. მენეჯმენტი აგრეთვე ვალდებულია მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება საწარმოს უწყვეტობის დაშვების საფუძველზე,



გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მენეჯმენტი აპირებს კომპანიის ლიკვიდაციას ან საქმიანობის შეჩერებას, ან თუ კომპანიას არ აქვს სხვა რეალისტური არჩევანი.

მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან მეთვალყურეობა გაუწიონ კომპანიის ფინანსური ანგარიშების წარდგენის პროცესს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშების აუდიტზე

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება მასზედ, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და წარვადგინოთ ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს აუდიტორულ დასკვნას (მოსაზრებას) აღნიშნულზე. დასაბუთებული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ ის არ არის გარანტია იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისად ჩატარებული აუდიტი აუცილებლად გამოავლენს არსებით უზუსტობებს მათი არსებობის შემთხვევაში. უზუსტობა შეიძლება წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად. უზუსტობები მიიჩნევა არსებითად, თუკი, გონივრულობის ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ მათ, ცალ-ცალკე ან ერთობლიობაში, შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, როგორც აუდიტის პროცესის შემადგენელი ნაწილი, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ განსჯას და ვიცავთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვსაზღვრავთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობების არსებობის რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამგვარი რისკების საპასუხოდ და მოვიპოვებთ ჩვენი აუდიტორული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. თაღლითობით გამოწვეული არსებითი შეცდომების შემჩნევლობის რისკი შეცდომით გამოწვეული უზუსტობების შემჩნევლობის რისკზე მაღალია, რადგან თაღლითობა მოიცავს ისეთ ქმედებებს, როგორიცაა შეთქმულება, გაყალბება, განზრახ რაიმე ინფორმაციის გამოტოვება და არასრული სახით წარდგენა, ან შიდა კონტროლის არასწორი წარმართვა.
- ვერკვევით კონტროლის სისტემის იმ ნაწილში, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენი აუდიტის მიზნებისათვის, რათა დავეგეგმოთ არსებული სიტუაციისათვის შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების, ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული სააღრიცხვო შეფასებების და ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებების შესაბამისობას.
- განვიხილავთ რამდენად შესაფერისი იყო ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადება საწარმოს საქმიანობის უწყვეტობის დამყარებით და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, ვაფასებთ, ხომ არ არის მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა დაკავშირებული იმ მოვლენებთან და პირობებთან, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ეჭვი გააჩინონ მომავალში კომპანიის მიერ საქმიანობის უწყვეტად გაგრძელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა არსებობს, მაშინ ჩვენგან მოითხოვება აუდიტორულ დასკვნაში მივუთითოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი ახსნა-განმარტებითი შენიშვნა, სადაც განხილულია აღნიშნული მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა, ხოლო თუკი ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული განუსაზღვრელობის არსებობა არ არის ადეკვატურად აღწერილი, მაშინ მოგვეთხოვება აუდიტორული დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი მოსაზრებები დაფუძნებულია ჩვენ მიერ აუდიტორული დასკვნის ხელმოწერის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე. თუმცა მომავალში შესაძლოა მოხდეს ისეთი მოვლენები, რომლებსაც გავლენა ექნებათ კომპანიის ფუნქციონირების გაგრძელების შესაძლებლობაზე.



- განვიხილავთ ფინანსური ანგარიშგების სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებით შენიშვნებს და ვადგენთ, თუ რამდენად სამართლიანად არის ასახული მასში ტრანზაქციები და მოვლენები.

მმართველობით უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის პროცესში გვექონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბის, აუდიტის გეგმის და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან სისუსტეებზე.

ვახტანგ ცაბაძე

მმართველი პარტნიორი,

რეგისტრირებული აუდიტორი, სარეგისტრაციო ნომერი: SARAS-A-774309

18 სექტემბერი, 2020 წელი



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ათას ქართულ ლარში		2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)	2017 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)
	შენიშვნა			
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	4	6,681	8,099	9,631
აქტივების გამოყენების უფლება	5	13,285	-	-
არამატერიალური აქტივები		20	8	11
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	-	1,016	1,087
		19,986	9,123	10,729
მოკლევადიანი აქტივები				
მარაგები	8	9,201	6,521	7,139
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	570	462	749
საგადასახადო აქტივი		165	122	-
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	7	1,352	966	1,570
		11,288	8,071	9,458
სულ აქტივები		31,274	17,194	20,187
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი და რეზერვები				
საწესდებო კაპიტალი	9	1,689	1,689	1,689
დაგროვილი მოგება/(ზარალი)		(1,719)	6,561	5,883
		(30)	8,250	7,572
გრძელვადიანი ვალდებულებები				
სესხები	10	1,950	-	4,075
ვალდებულებები ფინანსურ იჯარაზე	11	16,128	-	-
ანარიცხები	12	300	259	291
		18,378	259	4,366
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	4,334	4,439	1,901
სესხები	10	4,125	4,107	6,024
ვალდებულებები ფინანსურ იჯარაზე	11	4,203	-	-
საგადასახადო ვალდებულება		128	-	261
ანარიცხები	12	136	139	63
		12,926	8,685	8,249
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		31,274	17,194	20,187

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2020 წლის 18 სექტემბერს:

შეიქ შამილ ჩადლარი

გიორგი თუშიშვილი

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 12-39 გვერდებზე წარმოდგენილი ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ათას ქართულ ლარში	შენიშვნა	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
შემოსავალი	14	33,183	34,387
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	15	(19,581)	(19,834)
მთლიანი მოგება		13,602	14,553
გაყიდვისა და მარკეტინგის ხარჯები	16	(8,574)	(11,307)
ადმინისტრაციული ხარჯები	17	(903)	(870)
შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან		4,125	2,376
ფინანსური ხარჯი	18	(2,959)	(1,127)
ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან	19	(2,376)	(409)
არასაოპერაციო ხარჯები		(39)	(162)
ზარალი დაბეგვრამდე		(1,249)	678
მოგების გადასახადის ხარჯი	20	-	-
წლის ზარალი		(1,249)	678
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის სრული შემოსავალი		(1,249)	678

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2020 წლის 18 სექტემბერს:

შეიკ შამილ ჩაღლარი
დირექტორი

გიორგი თუშიშვილი
მთავარი ბუღალტერი

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 12-39 გვერდებზე წარმოდგენილი ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად.


KOTON Textile Limited
ფინანსური ანგარიშგება და მისთვის დამახასიათებელი
2019 წელი

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

ათას ქართულ ლარში

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი მოგება/ ზარალი	სულ
2017 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)	1,689	5,883	7,572
წლის მოგება	-	678	678
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	678	678
2018 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)	1,689	6,561	8,250
ფასს 16-ის კორექტირება	-	(7,031)	(7,031)
2019 წლის 1 იანვრის კორექტირებული ნაშთი	1,689	(470)	1,219
წლის ზარალი	-	(1,249)	(1,249)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	(1,249)	(1,249)
2019 წლის 31 დეკემბერი	1,689	(1,719)	(30)

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 12-39 გვერდებზე წარმოდგენილი ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად.


KOTON Textile Limited
კოტონ ტექსტილ ლიმიტედი
2019 წელი

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

ათას ქართულ ლარში

	შენიშვნა	2019 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მომხმარებლებისგან მიღებული ფული		38,912	40,934
მომწოდებლებზე გადახდილი ფული		(28,796)	(29,595)
გადახდილი გადასახადები		(3,005)	(2,582)
გადახდილი ხელფასი		(1,546)	(1,875)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		5,565	6,882
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა		(134)	(191)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(134)	(191)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
სესხის პროცენტის გადახდა	27	(415)	(1,227)
ფინანსური იჯარის პროცენტის გადახდა	27	(2,363)	-
სესხის აღება	27	6,370	4,076
სესხებისა და ფინანსური იჯარის ვალდებულებების დაფარვა	27	(8,510)	(9,917)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული ფული		(4,918)	(7,068)
ფულის წმინდა ზრდა/კლება		513	(377)
უცხოური ვალუტის კურსის ეფექტი ფულზე	19	(127)	(227)
ფულის ნაშთი წლის დასაწყისში		966	1,570
ფულის ნაშთი წლის ბოლოს		1,352	966

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 12-39 გვერდებზე წარმოდგენილი ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად.


KOTON Textile Limited
ჯინსსეზონი, სტაბილურობა და ინოვაციურობა
2019 წელი 11

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1 ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

Koton Textile Limited LLC დაარსდა 2013 წლის 1 აპრილს საქართველოში, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანია იმართება სს "Koton Magazacilik Textil Sanayi Ve Ticaret Anonim Sirketi"-ის მიერ, რომელიც კომპანიის 100%-ის მფლობელია. კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა სს "Koton Magazacilik Textil Sanayi Ve Ticaret Anonim Sirketi", რომელიც ოპერირებს თურქეთში.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ტანსაცმლით ვაჭრობა.

2019 წლის განმავლობაში კომპანიის თანამშრომლების საშუალო რაოდენობა იყო 195 (2018: 217 თანამშრომელი)

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია ოპერირებს 9 მაღაზიით, რომელთაგანაც 7 მდებარეობს თბილისში, 1 ბათუმში და 1 ქუთაისში.

2 შედგენის საფუძველი

2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დაშვებით, რომ კომპანია ოპერირებს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპით.

2019 წლიდან, კომპანია ხელმძღვანელობს იჯარის აღიარების ახალი სტანდარტით (იხ. შენიშვნა 2.5). ახალი სტანდარტი დაინერგა შეცვლილი რეტროსპექტული მიდგომით, რომლის თანახმადაც, აკუმულირებული ეფექტი 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით აღიარებულია, როგორც კორექტირება აკუმულირებულ შედეგებზე. შესაბამისად, კომპანიას არ აქვს ვალდებულება წარმოადგინოს ფინანსური მდგომარეობის სამი ანგარიშგება ამ თარიღისთვის.

2.2 შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა ზოგიერთი ფინანსური ინსტრუმენტისა, რომლებიც ასახულია მომავალი ფულადი ნაკადების ახლანდელი დისკოტირებული ღირებულებით.

2.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან იგი ყველაზე უკეთ ასახავს კომპანიის ოპერაციებისა და კომპანიის სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათას ლარში (თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული). ყველა ფინანსური მონაცემი წარმოდგენილი ათას ლარში, დამრგვალებულია უახლოეს ათასეულამდე.

2.4 შეფასებებისა და მოსაზრებების გამოყენება

წინამდებარე ანგარიშგების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებისათვის, ხელმძღვანელობამ გააკეთა მთელი რიგი შეფასებები, რომლებიც გავლენას ახდენენ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის, აგრეთვე საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის შემოსავლებზე და

ხარჯებზე. კონკრეტული სფეროები, სადაც მნიშვნელოვანი შეფასებები და მსჯელობებია გამოყენებული, ან სადაც ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული დაშვებები და სააღრიცხვო შეფასებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაზე, განხილულია 22-ე შენიშვნაში.

2.5 ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

მიმდინარე წელს კომპანიამ ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოიყენა ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტირების საერთაშორისო კომიტეტის მიერ გამოშვებული ყველა ის ახალი ან გადახედილი ფასს და ფასს-ის ინტერპრეტაცია, რომელიც გამოსაყენებლად სავალდებულოა 2019 წლის 1 იანვარს დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისათვის და შესაბამება კომპანიის ოპერაციებს.

ამ ცვლილებების გავლენა და ბუნება აღწერილია ქვემოთ.

ახალი და გადახედილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ეფექტურია 2019 წლის 1 იანვრიდან

ცვლილებები ფასს 9-ში: წინასწარ გადახდის პირობები უარყოფითი ანაზღაურების შესაძლებლობით

ფასს 9-ის თანახმად სავალო ინსტრუმენტი შეიძლება შეფასდეს ამორტიზებული ღირებულებით ან რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში, თუკი საკონტრაქტო ფულადი ნაკადები არის „მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დარჩენილ ნაშთზე დარიცხული პროცენტის გადახდები“ (SPPI კრიტერიუმი) და ინსტრუმენტის მფლობელი, ამ კლასიფიკაციით, შესაბამისი ბიზნეს მოდელია. ცვლილებები ფასს 9-ში განმარტავს, რომ ფინანსური აქტივი აკმაყოფილებს SPPI კრიტერიუმს, მიუხედავად მოვლენის ან გარემოებისა, რომელიც იწვევს ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტას, და მხარისა, რომელიც იხდის ან იღებს გონივრულ ანაზღაურებას ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტისათვის.

ამ ცვლილებას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია.

ფასს 16 იჯარა

ფასს 16 იჯარა ანაცვლებს ბასს 17 იჯარას, სამ ინტერპრეტაციასთან ერთად (ფასიკ 4 „როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას“, იმკ 15 „საოპერაციო იჯარა - სტიმულირება“ და იმკ 27 „გარიგებების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას“).

ახალი სტანდარტის მიღებამ კომპანიაში გამოიწვია აქტივის გამოყენების უფლებისა და მასთან დაკავშირებული საიჯარო ვალდებულების აღიარება ყველა წინანდელ საოპერაციო იჯარასთან მიმართებაში, გარდა იმ იჯარებისა, რომელთაც აქვთ დაბალი ღირებულება, ან 12 თვეზე ნაკლები დარჩენილი საიჯარო ვადა თავდაპირველი აღიარების თარიღიდან.

ახალი სტანდარტი გამოყენებულ იქნა რეტროსპექტული მიდგომით. ფასს 16-ის პირველად გამოყენებით გამოწვეული კუმულაციური ეფექტი აღიარებულია კაპიტალში, როგორც მიმდინარე გაუნაწილებელი მოგების საწყისი ნაშთის კორექტირება, სტანდარტის თავდაპირველი. კომპანიის მიერ წინა პერიოდში წარდგენილი ფინანსური ინფორმაცია არ დაკორექტირებულია.

სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის გაფორმებული კონტრაქტებისთვის, კომპანიამ გადაწყვიტა, გამოეყენებინა იჯარის განსაზღვრება ბასს 17-ისა და ფასიკ 4-ის მიხედვით და არ გამოეყენებინა ფასს 16 იმ გარიგებებისთვის, რომლებიც თავდაპირველად არ იყო აღიარებული, როგორც იჯარა ბასს 17-ისა და ფასიკ 4-ის მიხედვით.

კომპანიამ გადაწყვიტა არ ჩაერთო თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები იმ აქტივების გამოყენების უფლების შეფასებაში, რომლებსაც კომპანია ფლობს მოკლევადიანი იჯარისთვის ფასს 16-ის გამოყენების დაწყების თარიღისთვის - 2019 წლის 1-ლი იანვრისთვის. ამ თარიღისთვის, კომპანიამ ასევე აირჩია აქტივების გამოყენების უფლების შეფასება საიჯარო ვალდებულების ტოლი ოდენობით, დაკორექტირებული წინასწარ გადახდილი, ან დარიცხული საიჯარო გადასახდელებით, რომლებიც არსებობდა ოპერაციის თარიღისთვის.

აქტივის გამოყენების უფლებაზე გაუფასურების ტესტირების ნაცვლად, სტანდარტის პირველადი გამოყენების თარიღისთვის, კომპანია დაეყრდნო თავის ისტორიულ შეფასებებს, ჰქონდა თუ არა

იჯარას მნიშვნელოვანი გავლენა ფასს 16-ის პირველადი გამოყენების თარიღამდე.

ახალ სტანდარტზე გადასვლის მომენტისთვის, იჯარებისთვის, რომლებიც მანამდე აღრიცხული იყო, როგორც საოპერაციო იჯარა 12 თვეზე ნაკლები საიჯარო ვადითა და დაბალი ღირებულებით, კომპანიამ გამოიყენა არჩევითი გამონაკლისები არ ელიარებიანთ აქტივის გამოყენების უფლება, არამედ აღერიცხა ისინი საიჯარო ხარჯად წრფივი მეთოდით, დარჩენილ საიჯარო პერიოდზე.

ფასს 16-ზე გადასვლისას, საშუალო შეწონილი ზღვრული სასესხო განაკვეთი ფასს 16-ით განსასაზღვრულ საიჯარო ვალდებულებებთან მიმართებაში შეადგენდა 10.5%-ს.

საიჯარო ვადის განსაზღვრისას, იჯარის გაგრძელების და შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, კომპანიამ იხელმძღვანელა არსებული ფაქტებით და გარემოებებით.

სტანდარტები, ცვლილებები და ინტერპრეტაციები არსებულ სტანდარტებზე, რომლებიც ჯერ არ არის ეფექტური და ჯერ არ მიუღია კომპანიას

ამ ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისთვის, ბასს-ის მიერ, გამოქვეყნებული იყო გარკვეული ახალი სტანდარტები, არსებული სტანდარტების შესწორებები და ინტერპრეტაციები, მაგრამ ჯერჯერობით ისინი არ არის ეფექტური და კომპანიას ისინი ჯერ არ მიუღია.

ხელმძღვანელობა ვარაუდობს, რომ ყველა შესაბამისი განცხადება მიიღება კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაში პირველივე პერიოდისათვის, რომელიც იწყება გამოცხადების ძალაში შესვლის თარიღიდან ან მას შემდეგ. ახალი სტანდარტები, არსებული სტანდარტების შესწორებები და ინტერპრეტაციები, რომლებიც შესაძლებელია რელევანტური გახდეს კომპანიის ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია ქვემოთ. ზოგიერთი სხვა ახალი სტანდარტი და ინტერპრეტაცია ასევე იქნა გამოშვებული, მაგრამ არ არის სავარაუდო, რომ მათ ექნებათ არსებითი გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

2.6 ფინანსური ანგარიშგების გადაანგარიშება

კომპანია ახორციელებს ცვლილებებს სააღრიცხვო პოლიტიკაში და ასწორებს წინა პერიოდის არსებით შეცდომებს გამოსაცემად ნებადართულ პირველივე ფინანსურ ანგარიშგებაში მას შემდეგ, რაც შეცდომები გამოვლინდა და ეს უნდა გაკეთდეს შემდეგი გზით: იმ წარდგენილი პერიოდის შესაღარი ისინი ინფორმაციის გადაანგარიშებით, რომელშიც დაშვებულ იქნა შეცდომა; ან ყველაზე ადრეული პერიოდის აქტივების, ვალდებულებებისა და საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთების გადაანგარიშებით, თუ შეცდომა დაშვებულ იქნა წარდგენილ პერიოდთაგან ყველაზე წინა პერიოდამდე. ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მოიცავს წინა პერიოდების შესაღარის ინფორმაციას, წარდგენილია იმგვარად, თითქოსდა კორექტირება მოხდა იმ პერიოდში, როცა ამის საჭიროება გაჩნდა. ამასთან კორექტირების ოდენობა რომელიც უკავშირდება თითოეულ წარდგენილ პერიოდს, ჩაერთვება იმავე პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

3.1 უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისათვის, საანგარიშგებო ვალუტისაგან (ლარი) განსხვავებულ, უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია იმავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით, რომელიც 2019 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2.8677 ლარს და ერთი ევროსათვის შეადგენს 3.2095 (2018 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 2.6766 ლარი, ერთი ევრო 3.0701, 2017 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 2.5922 ლარი, ერთი ევრო 3.1044). არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლო კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ოპერაციის განხორციელების დღის კურსით), გარდა რეალური ღირებულებით წარდგენილი არაფულადი

მუხლებისა, რომლებიც ღარში გადაყვანილია მათი რეალური ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით.

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ანგარიშგებაში.

3.2 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მცირდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხებით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებები შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალკე-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

მოგება, ან ზარალი, რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან აღირიცხება დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ან ემატება სხვა აქტივების საბალანსო ღირებულებას შემცირებადი ნაშთის მეთოდით, თითოეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება. ძირითადი საშუალებების ჯგუფებისთვის განსაზღვრული შესაბამისი სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

იჯარით აღებული ძირითადი საშუალებები	- 8-10 წელი (იჯარის ვადასა და საიჯარო აქტივის გაუმჯობესების საციცოცხლო ვადას შორის უმცირესი)
ავჯი და ინვენტარი	- 5-7 წელი
ელექტრონული აღჭურვილობა	- 5-6 წელი
ავტომობილები	- 7 წელი
სხვა ძირითადი საშუალებები	- 7 წელი

დანახარჯების საწყისი შეფასებები, რომლებიც საიჯარო ხელშეკრულებებით უნდა განხორციელდეს კომპანიის მიერ იჯარით აღებული ქონების პირვანდელი მდგომარეობის აღსადგენად, დაემატება საიჯარო ქონების გაუმჯობესების ღირებულებას. იჯარით აღებული ქონების აღდგენის ამგვარი ხარჯების ვალდებულებები აღიარებულია და შეფასებულია ბასს 37 ანარიცხები, პირობითი ვალდებულებების და პირობითი აქტივების შესაბამისად.

3.3 არამატერიალური აქტივები

კომპანიის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადა, წარმოდგენილია თვითღირებულებით, რომელსაც გამოკლებული აქვს დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

მეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივებისთვის ამორტიზაციის ხარჯის აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, ან ემატება სხვა აქტივის

თვითღირებულებას შემცირებადი ნაშთის მეთოდით მათი სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად, რომელიც შეადგენს 7 წელს, პროგრამული უზრუნველყოფისათვის.

3.4 იჯარით აღებული აქტივები

როგორც შენიშვნა 2.5-შია აღწერილი, კომპანიამ დაწერა ფასს 16 და გამოიყენა მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომა, შესაბამისად, შესადარისი ინფორმაცია არ გადაანგარიშებულია, რაც ნიშნავს იმას, რომ შესადარისი ინფორმაცია წარდგენილია ბასს 17-ის და ფასიკ4-ის შესაბამისად.

სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც ძალაშია 2019 წლის 1 იანვრიდან

კომპანია, როგორც მოიჯარე

2019 წლის 1 იანვარს, ან შემდეგ, გაფორმებული ნებისმიერი ახალი კონტრაქტისთვის კომპანია განიხილავს არის თუ არა, ან შეიცავს, თუ არა ხელშეკრულება იჯარას. იჯარა განიშარტება, როგორც "ხელშეკრულება, ან ხელშეკრულების ნაწილი, რომლის თანახმად სხვა მხარეს გადაეცემა აქტივის (საიჯარო აქტივის) გამოყენების უფლება გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების სანაცვლოდ." ამ განმარტების თანახმად, კომპანია აფასებს, აკმაყოფილებს თუ არა ხელშეკრულება შემდეგ სამ მთავარ შეფასების კრიტერიუმს:

- შეიცავს თუ არა კონტრაქტი იდენტიფიცირებად აქტივს, რომელიც პირდაპირ არის განსაზღვრული ხელშეკრულებაში, ან არაპირდაპირი გზით ხდება აქტივის იდენტიფიცირება იმ მომენტში, როდესაც აქტივი გამოსაყენებლად ხელმისაწვდომი ხდება კომპანიისთვის.
- აქვს თუ არა კომპანიას ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებული აქტივიდან მთლიანი ეკონომიკური სარგებლის მიღების უფლება აქტივის გამოყენების პერიოდის განმავლობაში, ხელშეკრულებით განსაზღვრული უფლებების ფარგლებში.
- აქვს თუ არა კომპანიას იდენტიფიცირებადი აქტივის გამოყენების წესის განსაზღვრის უფლება. აქვს თუ არა უფლება გადაწყვიტოს „როგორ და რა მიზნით“ გამოიყენოს აქტივი მისი ფლობის პერიოდში.

მოიჯარის მიერ იჯარის შეფასება და აღიარება

იჯარის დაწყების თარიღისათვის კომპანია აღიარებს აქტივების გამოყენების უფლებასა და საიჯარო ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. აქტივის გამოყენების უფლება განისაზღვრება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას, კომპანიის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს, იჯარის ბოლოს აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციისთვის საჭირო შეფასებით ხარჯებს და იჯარის დაწყების თარიღისთვის გადახდილ ავანსებს (ყველა მიღებული წამახალისებელი გადახდების გამოკლებით).

კომპანია, აქტივების გამოყენების უფლებებისთვის, იყენებს ცვთის წრფივ მეთოდს იჯარის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი. კომპანია ასევე აფასებს აქტივის გამოყენების უფლების გაუფასურებას, როდესაც ასეთი ინდიკატორი არსებობს.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია საიჯარო ვალდებულებას აფასებს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება ხორციელდება იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად შეიძლება, ან კომპანიის ზღვრული სასესხო განაკვეთის საშუალებით.

საიჯარო გადახდები, რომლებიც გაითვალისწინება საიჯარო ვალდებულების შეფასებაში, მოიცავს ფიქსირებულ გადახდებს (მათ შორის, არსებითად ფიქსირებულ გადახდებს), ინდექსზე ან განაკვეთზე დამოკიდებულ ცვლად საიჯარო გადახდებს, თანხებს, რომლებსაც მოსალოდნელია, რომ მოიჯარე გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით და უფლებებით წარმოშობილ გადახდებს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას გამოიყენებს.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ მოიჯარემ საიჯარო ვალდებულება უნდა შეამციროს

განხორციელებული საიჯარო გადახდებით და გაზარდოს საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული პროცენტით. საიჯარო ვალდებულების შეფასება ხდება ხელახლა, რათა აისახოს ხელახალი შეფასების შედეგი, ან იჯარის მოდიფიკაციები, ან გადასინჯული არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადახდები.

საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების შემდეგ, შესაბამისი კორექტირება აისახება აქტივის გამოყენების უფლებაზე ან მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, თუ აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება ნულია.

კომპანიამ გადაწყვიტა მოკლევადიანი და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარა აღრიცხოს პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის გამოყენებით. აქტივის გამოყენების უფლებისა და საიჯარო ვალდებულების აღიარების ნაცვლად, იჯარასთან დაკავშირებული გადახდები აღიარდება ხარჯად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით, იჯარის პერიოდის განმავლობაში.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივების გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულება წარმოდგენილია განცალკევებით.

კომპანია, როგორც მეიჯარე

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა ფასს 16-ის მიხედვით, არ შეცვილა შესაღარის პერიოდებში.

კომპანია, როგორც მეიჯარე, გამოყოფს იჯარის ორ კლასს - საოპერაციო ან ფინანსურ იჯარებს.

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუკი იგი გადასცემს არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს განსაზღვრული აქტივის მფლობელს, ხოლო თუ არ გადასცემს, მაშინ იგი კლასიფიცირდება, როგორც საოპერაციო იჯარა.

3.5 მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგები არის აქტივები რომლებიც განკუთვნილია მომხმარებელზე გასაყიდად, წარმოების პროცესში გამოსაყენებლად ან მომხმარებლისთვის მომსახურების გასაწევად. კომპანიის სასაქონლო მატერიალური მარაგები მოიცავს სარეალიზაციო პროდუქციას (ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, აქსესუარები).

სასაქონლო მატერიალური მარაგები წარმოდგენილია საბალანსო ღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულებად მიჩნეულია ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში აქტივის გასაყიდი ფასი, რასაც აკლდება აქტივის გაყიდვასთან დაკავშირებული სავარაუდო დანახარჯები. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია მარაგების შეძენასთან, ადგილზე მიტანასთან, გადამუშავებასთან და მის იმ მდგომარეობამდე მიყვანასთან როგორც ის იმყოფება.

3.6 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება და აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება, მას შემდეგ, რაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელმეკრულებო პირობების მონაწილე.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა ხდება მას შემდეგ, რაც ამოიწურება ფინანსური სარგებლის მიღების სახელმეკრულებო უფლება, ან როდესაც ფინანსური აქტივი და მასთან დაკავშირებული რისკის მნიშვნელოვანი წილი გადადის სხვა მხარეზე.

ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება, როდესაც ის შესრუდება, ხელმეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.



ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და თავდაპირველი შეფასება

იმ სავაჭრო მოთხოვნების გარდა, რომლებიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს და შეფასებულია გარიგების ფასად ფასს 15-ის მიხედვით, ყველა ფინანსური აქტივი თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით დაკორექტირებული გარიგების დანახარჯებით (სადაც შესაფერისია).

ფინანსური აქტივები, გარდა ჰეჯირებისთვის განსაზღვრული და გამოყენებული აქტივებისა, დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:

- ამორტიზებული ღირებულებით
- რეალური ღირებულების მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL)
- რეალური ღირებულების ცვლილების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI).

წარმოდგენილ პერიოდში კომპანიას არ აქვს ფინანსური აქტივების კატეგორია FVOCI.

კლასიფიკაცია განისაზღვრება ორივე შემდეგი კრიტერიუმის მიხედვით:

- კომპანიის ბიზნეს მოდელი ფინანსური აქტივის მართვისთვის;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლები.

ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ყველა შემოსავალი და ხარჯი, რომელიც აღიარებულია მოგებაში ან ზარალში წარმოდგენილია ფინანსური ხარჯებში, ფინანსური შემოსავალში ან სხვა ფინანსური მუხლებში, გარდა სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებისა, რომლებიც წარმოდგენილია სხვა ხარჯებში. კომპანიის ფინანსური აქტივები დაყოფილი კატეგორიების მიხედვით მოცემულია შენიშვნაში 23.2.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივების ამორტიზირებული ღირებულებით შეფასება

ფინანსური აქტივები შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით თუ აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს (და არ არის განსაზღვრული როგორც FVTPL):

- ფლობს ფინანსურ აქტივებს ისეთი ბიზნეს მოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ფინანსური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დისკონტირება უგულებელყოფილია, სადაც დისკონტირებას არამატერიალური ეფექტი აქვს. კომპანიის ფული და ფულის ეკვივალენტები, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების უმეტესობა, ისევე როგორც, ბასს 39-ის მიხედვით, ფლობისთვის განსაზღვრულად კლასიფიცირებული ობლიგაციები, ფინანსური ინსტრუმენტების ამ კატეგორიას მიეკუთვნება.

ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში (FVTPL)

ფინანსური აქტივები, რომლებსაც კომპანია ფლობს სხვა ბიზნესში, გარდა აქტივებისა, რომლებიც "შეგროვების" ან "შეგროვების და გაყიდვის" მიზნებისთვისაა ფლობილი, აისახება მოგება/ზარალში რეალური ღირებულებით. განურჩევლად ბიზნეს მოდელისა, ფინანსური აქტივები, რომელთა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები არ არის მხოლოდ ძირისა და პროცენტის გადახდები, აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშებაში (FVTPL). ყველა წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტი მიეკუთვნება ამ კატეგორიას, გარდა იმ ინსტრუმენტებისა, რომლებიც გათვალისწინებულია და ეფექტურია, როგორც ჰეჯირების ინსტრუმენტები, რომელთათვისაც გამოიყენება ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნები.



ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფასს 9-ის მოთხოვნები იყენებს უფრო მეტად საპროგნოზო ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარებისას – „მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) მოდელი“. ეს ანაცვლებს ბასს 39-ის „განცდილი ზარალის მოდელს“. ახალ განსაზღვრებაში მოქცეული ინსტრუმენტები, რომლებიც მოიცავს სესხებს და სხვა სავალო ტიპის ფინანსურ აქტივებს შეფასებულს ამორტიზებული ღირებულებით და რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, სავაჭრო მოთხოვნებს, სახელშეკრულებო აქტივებს, რემლენიც აღიარებული და შეფასებულია ფასს 15-ის მიხედვით და სესხის გაცემის ვალდებულებას და ზოგიერთი ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებს (ემიტენტისთვის), რომლებიც არ არიან შეფასებული რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

საკრედიტო ზარალის აღიარება აღარ არის დამოკიდებული კომპანიის მიერ საკრედიტო ზარალის პირველად აღმოჩენის შემთხვევაზე. ამის მაგივრად კომპანია განიხილავს უფრო ფართო არეალის ინფორმაციას, როდესაც აფასებს საკრედიტო რისკს და მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, ეს ინფორმაცია მოიცავს, წარსულ შემთხვევებს, მიმდინარე პირობებს, მართებულ და მისაღებ პროგნოზს, რომელსაც გავლენა აქვს ფინანსური აქტივის მომავალი ფულადი ნაკადების მოსალოდნელ შეგროვებადობაზე.

ამ საპროგნოზო მიდგომის დანერგვისას, გამიჯვნა ხდება:

- ფინანსურ ინსტრუმენტებს შორის, რომლებიც საკრედიტო ხარისხის მიხედვით საგრძნობლად არ გაუარესებულა საწყისი აღიარების შემდგომ ან აქვს დაბალი საკრედიტო რისკი (დონე 1), და
- ფინანსურ ინსტრუმენტებს შორის, რომლებიც საგრძნობლად გაუარესდნენ კრედიტის ხარისხის მიხედვით საწყისი აღიარების შემდგომ და მათი საკრედიტო რისკი არ არის დაბალი (დონე 2)
- დონე 3 მოიცავს ფინანსურ აქტივებს, რომლებსაც აქვს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება საანგარიშგებო თარიღისთვის.

„12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“ აღიარებულია პირველი კატეგორიით, ხოლო „არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“ მეორე კატეგორიით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება განსაზღვრულია ალბათობებით შეწონილი საკრედიტო ზარალის შეფასებით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი არსებობის მანძილზე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და სახელშეკრულებო აქტივები

კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ანგარიშგების დროს ასევე სახელშეკრულებო აქტივების შემთხვევაშიც და აღრიცხავს ზარალის რეზერვის თანხას, როგორც ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალად. ეს არის მოსალოდნელი დეფიციტი სახელშეკრულებო ფულად ნაკადებში, რომელიც ითვლისწინებს პოტენციურ ვალდებულებების შეუსრულებლობას ფინანსური აქტივის არსებობისას ნებისმიერ დროს. კომპანია იყენებს თავის ისტორიულ გამოცდილებას, გარე ფაქტორებს და საპროგნოზო ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დაანგარიშების დროს.

კომპანია აფასებს სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებას კოლექტიურ საფუძველზე რადგანაც ფლობენ საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლებს და დაჯგუფებულები არიან ვადაგადაცემის მიხედვით. დეტალური ანალიზისთვის თუ როგორ არის ფასს 9-ის დანერგვა გამოყენებული გაუფასურების მოთხოვნებში იხილეთ შენიშვნა 24 (ბ).

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შეფასება

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებსა და ფინანსური იჯარის ვალდებულებებს. შეჯამება კომპანიის ფინანსური ვალდებულებების შესახებ, კატეგორიების მიხედვით იხილეთ შენიშვნა 23.2- ში.

სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გამოკლებული სესხთან დაკავშირებული გაცემის ხარჯებით. სხვაობა სამართლიან ღირებულებასა და ნომინალურ ღირებულებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სესხი

ადებულია დამფუძნებლებისგან. ასეთ შემთხვევაში, ეს სხვაობა აისახება კაპიტალში, როგორც დამატებითი კაპიტალი. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, სესხები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ხოლო სხვაობა თვითღირებულებასა და გამოსყიდვის ღირებულებას შორის აისახება მოგებაში ან ზარალში, სესხების პერიოდის განმავლობაში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. პროცენტები და სხვა ხარჯები, რომლებიც გაწეულია სესხებზე, მიეკუთვნება ფინანსურ ხარჯებს, გარდა იმ სესხის ხარჯებისა, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება შესყიდვებს, მშენებლობას, ან განსაკუთრებული აქტივის შექმნას. ასეთი ხარჯები პირდაპირ აქტივის თვითღირებულებაზე კაპიტალიზირდება.

3.7 ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე

ნაღდი ფული და ფული საბანკო ანგარიშებზე აერთიანებს ნაღდ ფულს და ფულს საბანკო ანგარიშებზე.

3.8 კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. ცვლილება კომპანიის წესდებაში (მოიცავს ცვლილებას საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და ა.შ) ხდება მხოლოდ კომპანიის დამფუძნებლების გადაწყვეტილების შემდგომ. ავტორიზირებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი კომპანიის კაპიტალში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უშუალოდ დამფუძნებლების კონტრიბუცია იყო კომპანიაში.

გაუნაწილებელი მოგება მოიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების გაუნაწილებელ მოგებებს.

3.9 ანარიცხები

ანარიცხი აღიარებულია კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშებაში, როდესაც კომპანიას აქვს იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსული მოვლენის შედეგად, და სავარაუდოა, რომ ვალდებულებების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის გაღიწება. თუ ეფექტი მატერიალურია, ანარიცხები განისაზღვრება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულებით წინასწარ საგადასახადო განაკვეთზე, რაც ასახავს ფულის დროში ღირებულებას.

3.10 მოგების გადასახადი

მიმდინარე გადასახადი არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე/(ზარალზე), რომელიც გაანგარიშებულია ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საგადასახადო განაკვეთით და ითვალისწინებს წინა წლებთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულების ყველა შესაძლო შესწორებას.

ცვლილებები მოგების გადასახადში, რომელიც ეფექტურია 2017 წლის 1-ლი იანვრიდან

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც ცვლილება შეეხო მოგების გადასახდის წარდგენას.

ახალი მოდელის („კორპორატიული დაბეგვრის ესტონური მოდელი“) მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით გაუნაწილებელ მოგებაზე, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, ეს მოგება კომპანიაში რჩებოდა, თუ ნაწილდებოდა. ცვლილებების შედეგად, 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (მოგების, როგორც დივიდენდის განაწილება აქციონერებზე) და ინდივიდუალური ტრანზაქციები, რომლებიც შეიძლება მოგების ირიბად განაწილებად ჩაითვალოს (სარგებელი, საჩუქარი, გადახდები, ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, რომლებიც არ არის განხორციელებული გამლილი ხელის პრინციპით, ხარჯები რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან და სხვა).

დივიდენდის გაცემიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღიარდება ხარჯად იმ პერიოდში, როცა დივიდენდი გამოცხადდა, მიუხედავად მათი რეალური გადახდის თარიღის, ან პერიოდისა,

რომელშიც მოხდა ამ დივიდენდის გატანა. განაკვეთი წარმოადგენს განაწილებული მოგების 15/85 ნაწილს.

აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში, ანგარიშგებაში, ფინანსური და საგადასახადო ბაზის საფუძველზე. შესაბამისად გადავადებული საგადასახო აქტივი და ვალდებულება, როგორც განსაზღვრულია ბასს 12 მოგებიდან გადასახადებით არ წარმოიქმნება 2017 წლის 1 იანვრიდან და არ არის ასახული ამ ფინანსურ ანგარიშგებებში.

3.11 შემოსავალი

კომპანიის შემოსავალი ძირითადად წარმოიქმნება საქონლის რეალიზაციიდან.

იმისათვის, რომ შემოსავალი იქნეს აღიარებული კომპანიამ უნდა შეასრულოს ხუთ-საფეხურიანი პროცესი:

1. მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიკაცია
2. შესასრულებელი ვალდებულებების იდენტიფიკაცია
3. გარიგების ფასის განსაზღვრა
4. გარიგების ფასის განაწილება შესასრულებელ ვალდებულებაზე
5. შემოსავლის აღიარება, როდესაც ნაკისრი ვალდებულება შესრულდება.

შემოსავლების აღიარება ხდება იმ დროს ან დროის განმავლობაში, როდესაც (ან როგორც) კომპანია დააკმაყოფილებს შესასრულებელ ვალდებულებას დაპირებული საქონლის ან მომსახურების გადაცემით.

შემოსავალი პროდუქციის რეალიზაციიდან

კომპანია შემოსავლებს იღებს პროდუქციის რეალიზაციით. შემოსავლები შეფასებულია მიღებული ფულადი ნაკადების ან შემოსავლებთან დაკავშირებული დარიცხული მოთხოვნების სამართლიანი ღირებულებით, რაშიც გათვალისწინებულია კომპანიის მიერ გაცემული ფასდათმობები. რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები აღიარდება პროდუქციის რეალიზაციისთანავე.



4 ძირითადი საშუალებები

ათას ქართულ ლარში	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	ავაჩი და აღჭურვილობა	ელექტრო მოწყობილობები	ავტომობილები	სხვა	სულ
თვითღირებულება						
31 დეკემბერი 2017	8,993	1,331	912	43	1,694	12,973
შემოსვლა	85	56	46	-	38	225
გასვლა	(192)	-	(2)	-	(8)	(202)
31 დეკემბერი 2018	8,886	1,387	956	43	1,724	12,996
შემოსვლა	-	91	151	-	11	253
გასვლა	-	(5)	(3)	-	(82)	(90)
31 დეკემბერი 2019	8,886	1,473	1,104	43	1,653	13,159
დაბეზირებული ცვთა						
31 დეკემბერი 2017	2,104	468	201	6	563	3,342
ცვთის ზარგი	988	203	140	7	256	1,594
გასული ძირითადი საშუალებების ცვთა	(35)	-	(1)	-	(3)	(39)
31 დეკემბერი 2018	3,057	671	340	13	816	4,897
ცვთის ზარგი	994	214	154	7	249	1,618
გასული ძირითადი საშუალებების ცვთა	-	(3)	(1)	-	(33)	(37)
31 დეკემბერი 2019	4,051	882	493	20	1,032	6,478
საბალანსო ღირებულება						
31 დეკემბერი 2018	5,829	716	616	30	908	8,099
31 დეკემბერი 2019	4,835	591	611	23	621	6,681

კომპანიის არცერთი ვალდებულება არ არის უზრუნველყოფილი ძირითადი საშუალებებით. იჯარით აღებული ქონების და სავაჭრო მატერიალებში განთავსებული აღჭურვილობის ცვთის ზარგი აღიარებულია გაყიდვებისა და მარკეტინგის ხარჯების მუხლში (შენიშვნა 16). კომპანიის სათაო ოფისთან დაკავშირებული ძირითადი საშუალებების ცვთის ზარგი აღიარებულია აღმინისტრაციულ ხარჯებში (შენიშვნა 17).

ზოგიერთი საიჯარო ხელშეკრულების თანახმად, საიჯარო ვადის ბოლოს კომპანიას მოეთხოვება დაუყოვნებლივ დაუბრუნოს გამქირავებულს ვაკანტურ მდგომარეობაში და კარგ მდგომარეობაში და ყოველგვარი დატვირთვებისგან თავისუფალი. ამის გათვალისწინებით, კომპანია აღიარებს ამ ხარჯების რეზერვებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. ამ დებულებების ამორტიზაცია, 18 ათასი ლარის ოდენობით, პირდაპირ დაეკისრა ამ პერიოდის საფინანსო ღირებულებას (იხ. შენიშვნა 12).

5 აქტივების გამოყენების უფლება

ათას ქართულ ლარში

თვითღირებულება

31 დეკემბერი 2018

ფასს 16-ზე გადასვლის

კორექტირება

შემოსვლა

31 დეკემბერი 2019

ღაბროვლი ივრთა

31 დეკემბერი 2018

ფასს 16-ზე გადასვლის

კორექტირება

ცვთის ხარჯი

31 დეკემბერი 2019

საბალანსო ღირებულება

31 დეკემბერი 2018

31 დეკემბერი 2019

ბათუმი	ისტ პოინტი	ღებუნი	გლდან სიტი მოლი	ქარვასლა	ქუთაისი	მერანი	თბილ ისი მოლი	სულ
-	-	-	-	-	-	-	-	-
4,363	2,027	11,633	1,176	850	4,236	-	1,693	25,978
-	-	-	-	-	-	784	-	784
4,363	2,027	11,633	1,176	850	4,236	784	1,693	26,762
-	-	-	-	-	-	-	-	-
643	1,457	5,499	149	238	1,495	-	802	10,282
425	343	1,227	120	150	424	346	162	3,195
1,068	1,800	6,726	269	388	1,919	346	964	13,477
-	-	-	-	-	-	-	-	-
-	-	-	-	-	-	-	-	-
3,295	228	4,908	907	462	2,317	438	729	13,285

კომპანია აქტივების გამოყენების უფლება შეძენილი აქვს სავაჭრო მაღაზიების ფართებზე, რომლებიც განლაგებულია თბილისში, ბათუმსა და ქუთაისში.

აქტივების გამოყენების ცვთის ხარჯი აღიარებულია მარკეტინგისა და გაყიდვების ხარჯებში.

6 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
გრძელვადიანი		
არაფინანსური აქტივები		
წინასწარი გადახდები იჯარაზე	-	1,016
სხვა წინასწარი გადახდები	-	-
	-	1,016
მიმდინარე		
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო მოთხოვნები	160	108
სხვა მოთხოვნები	1	2
	161	110
არაფინანსური აქტივები		
წინასწარი გადახდები იჯარაზე	-	-
სხვა წინასწარი გადახდები	409	352
	409	352
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	570	1,478

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ სავაჭრო მოთხოვნების წმინდა საბალანსო ღირებულება ახლოსაა მის სამართლიან ღირებულებასთან.

მენეჯმენტს დარწმუნებულია, რომ ყველა მოთხოვნა სრულად დაბრუნებადი.


შესადარისი პერიოდების ყველა სავაჭრო და სხვა მოთხოვნა გადაიხდა გაუფასურებასთან მიმართებაში. გაუფასურების ინდიკატორები არ აღმოჩენილა. განმარტებები საკრედიტო რისკთან დაკავშირებით იხილეთ შენიშვნა 24(ბ)-ში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ვალუტის მიხედვით იხილეთ შენიშვნა 24(ა)-ში.

7 ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე

ათას ქართულ ლარში	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
ფული ხელზე	203	236
ფული საბანკო ანგარიშებზე	1,149	730
	1,352	966

შენიშვნა 24(ა)-ში წარმოდგენილია ინფორმაცია უცხოურ ვალუტაში არსებული ნაღდი ფულის და საბანკო ანგარიშების შესახებ.



8 მარაგები

ათას ქართულ ლარში	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
<i>მარაგები ადგილმდებარეობის მიხედვით:</i>		
პეკინი	1,299	1,044
ბათუმი	1,078	631
ისტ პოინტი	1,050	704
ცენტრალური საწყობი	1,019	940
თბილისი მოლი	974	709
ქუთაისი	970	691
მერანი	856	629
ქარვასლა	799	393
სიტი მოლი	686	568
გლდანი მოლი	472	256
სხვა	46	-
მარაგების გაუფასურების რეზერვი	(48)	(44)
	<u>9,201</u>	<u>6,521</u>

2019 და 2018 წლის ბოლოს კომპანიის არც ერთი ვალდებულება არ ყოფილა კომპანიის მარაგებით უზრუნველყოფილი.

მარაგების გაუფასურების რეზერვი ანგარიშდება ყოველთვიურად თითოეული მაღაზიის მიხედვით და შეადგენს რეალიზებული პროდუქციის 2,5%-ს. აღნიშნული რეზერვი დამოწმებულია სათაო ოფისის მიერ.

9 კაპიტალი და რეზერვები

კომპანიის კაპიტალის 100%-ს ფლობს თურქეთში რეგისტრირებული სს "Koton Magazacilik Textil Sanayi Ve Ticaret Anonim Sirketi".

10 სესხები

ათას ქართულ ლარში	მიმდინარე		გრძელვადიანი	
	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
ბანკის სესხი 1	-	1,876	-	-
ბანკის სესხი 2	-	2,231	-	-
ბანკის სესხი 3	4,125	-	1,950	-
	<u>4,125</u>	<u>4,107</u>	<u>1,950</u>	<u>-</u>

ყველა სესხი მიღებულია სს "იჭ" ბანკთან 2016 წელს გაფორმებული გენერალური საკრედიტო ხაზის ფარგლებში.

2019 წელს კომპანიამ სრულად დაფარა ცხრილში წარმოდგენილი ორი სესხი. 2019 წლის 31 დეკემბრის ნაშთი მოიცავს მხოლოდ 2019 წელს აღებულ სესხს. საპროცენტო განაკვეთი ყველა სესხზე არის ფიქსირებული.

საბანკო სესხებზე საშუალო შეწონილი წლიური საპროცენტო განაკვეთია 13.18% (2018: 14.38%).

სესხები გამოყენებულია საბრუნავი კაპიტალის დასაფინანსებლად.

კომპანიის სესხები უზრუნველყოფილია დედა კომპანიის გარანტიით.

ყველა სესხი დენომინირებულია ქართულ ლარში.

11 იჯარა

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, საიჯარო ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ათას ქართულ ლარში	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2019
მიმდინარე	4,203	-
გრძელვადიანი	16,128	-
	<u>20,331</u>	<u>-</u>

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომავალი საიჯარო გადასახდელები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ათას ქართულ ლარში	ბათუმი	საჯაჭრო ცენტრი ისტ-პოინტი	დედენი	გლდანი სიტი მოლი	საჯაჭრო ცენტრი ქარვასლა	ქუთაისი	საჯაჭრო ცენტრი მერანი	თბილისი მოლი	სულ
ერთი წლამდე									
გადახდები	788	664	2,313	198	259	969	463	476	6,130
ფინანსური ხარჯი	(381)	(36)	(704)	(87)	(61)	(446)	(18)	(195)	(1,928)
	<u>407</u>	<u>628</u>	<u>1,609</u>	<u>111</u>	<u>198</u>	<u>523</u>	<u>445</u>	<u>281</u>	<u>4,202</u>
1-5 წლამდე									
გადახდები	3,152	-	6,940	791	539	3,878	-	1,667	16,967
ფინანსური ხარჯი	(1,100)	-	(991)	(247)	(56)	(1,022)	-	(335)	(3,751)
	<u>2,052</u>	<u>-</u>	<u>5,949</u>	<u>544</u>	<u>483</u>	<u>2,856</u>	<u>-</u>	<u>1,332</u>	<u>13,216</u>
5 წლის შემდეგ									
გადახდები	2,167	-	-	511	-	565	-	-	3,243
ფინანსური ხარჯი	(256)	-	-	(52)	-	(22)	-	-	(330)
	<u>1,911</u>	<u>-</u>	<u>-</u>	<u>459</u>	<u>-</u>	<u>543</u>	<u>-</u>	<u>-</u>	<u>2,913</u>
წმინდა მიმდინარე ღირებულება	<u>4,370</u>	<u>628</u>	<u>7,558</u>	<u>1,114</u>	<u>681</u>	<u>3,922</u>	<u>445</u>	<u>1,613</u>	<u>20,331</u>

კომპანიას იჯარით აღებული აქვს მაღაზიებისთვის განკუთვნილი ფართები საჯაჭრო ცენტრებში. ყველა იჯარა, გარდა მოკლევადიანი ან დაბალი ღირებულების მქონე იჯარისა, აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულება. ცვალებადი საიჯარო გადასახდელები, რომლებიც არ არის დამოკიდებული ინდექსზე ან პროცენტზე (როგორიცაა საიჯარო გადასახდელები, დამოკიდებული კომპანიის გაყიდვების პროცენტულ მაჩვენებელზე), არ მონაწილეობს სალიზინგო ვალდებულებების და შესაბამისი აქტივების საწყის აღიარებაში.

ყველა საიჯარო ხელშეკრულება შეიცავს შეზღუდვას იმის თაობაზე, რომ კომპანიას არ აქვს უფლება საიჯარო აქტივი გადასცეს მესამე მხარეს თუ მას არ აქვს კონტრაქტით განსაზღვრული უფლება. საიჯარო აქტივი შესაძლოა გამოყენებული იქნეს მხოლოდ მოიჯარის მიერ. იჯარები ან არაგაუქმებადია, ან გაუქმებადი, მხოლოდ შესაბამისი შეწყვეტის საფასურის გადახდის შემთხვევაში. არცერთი იჯარა არ მოიცავს იჯარის ბოლოს, იჯარით ფლობილი კონკრეტული აქტივის შესყიდვის უფლებას. მეიჯარესა და მოიჯარეს შორის დადებული ხელშეკრულების მიხედვით, შესაძლებელია იჯარის ვადის გახანგრძლივება. კომპანიას ეკრძალება იჯარით აღებული აქტივის გაყიდვა ან მისი უზრუნველყოფის სახით გამოყენება. მოიჯარემ უნდა უზრუნველყოს ამ ქონების კარგ

მდგომარეობაში შენარჩუნება და იჯარის ბოლოს დააბრუნოს იგი თავისი საწყისი მდგომარეობით. გარდა ამისა, კომპანიამ საიჯარო კონტრაქტის მიხედვით უნდა უზრუნველყოს საიჯარო აქტივების დაზღვევა და გასწიოს მათზე სარემონტო ხარჯებიც.

ქვემოთ მოცემული ცხრილი აღწერს კომპანიის საიჯარო აქტივობების ბუნებას, ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული აქტივების გამოყენების უფლების ტიპების მიხედვით:

აქტივის გამოყენების უფლება	იჯარით აღებული აქტივების რაოდენობა	დარჩენილი ვადის დიაპაზონი	საშუალო დარჩენილი იჯარის ვადა	იჯარების რაოდენობა ვადის გაგრძელების უფლებით	იჯარების რაოდენობა ინდექსზე მიბმული ცვლა-დი გადახდებით	იჯარების რაოდენობა ინდექსზე მიბმული ცვლა-დი გადახდებით	იჯარების რაოდენობა შეწყვეტის უფლებით
სავაჭრო მაღაზიები	8	8-93 თვე	52 თვე	8	-	2	-

საიჯარო გადახდები, რომლებიც არ არის აღიარებული ვალდებულებად

კომპანიამ გადაწყვიტა არ აღიაროს საიჯარო ვალდებულება მოკლევადიანი იჯარისთვის (12 თვიანი ან ნაკლები საიჯარო ვადის მქონე იჯარებისთვის) და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივების იჯარებისთვის. ამგვარ საიჯარო გადახდები ხარჯებად აღიარდება წრფივი მეთოდით. ამასთანავე, ზოგიერთი ცვლადი საიჯარო გადახდები, რომლებიც არ აღიარდება როგორც საიჯარო ვალდებულება, გაწევისთანავე აღიარდება ხარჯად.

ხარჯები, დაკავშირებული ისეთ საიჯარო გადახდებთან, რომლებიც არ ჩაირთვება საიჯარო ვალდებულებებში, შემდეგია:

ათას ქართულ ლარში	2019
მოკლევადიანი იჯარა	26
დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივის იჯარა	1,486
	1,512

კომპანიის შემოსავლების მიხედვით დაანგარიშებული ცვლადი საიჯარო გადასახდელები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. ცვლადი საიჯარო გადახდები აღიარდება ხარჯებად და არა საიჯარო ვალდებულებებად. ცვლადი გადახდების პირობა გამოიყენება სხვადასხვა მიზეზით.

იჯარებზე გადახდილი მთლიანი ფულადი ნაკადები 2019 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგენდა 6,343 ლარს

დამატებითი ინფორმაცია აქტივის გამოყენების უფლებაზე აქტივების კლასების მიხედვით შემდეგია:

ათასი ლარი	საბალანსო ღირებულება (იხ. შენიშვნა 5)	ცვეთის ხარჯი	გაუფასურება
სავაჭრო მაღაზიები	13,285	3,195	-
სულ	13,285	3,195	-

აქტივების გამოყენების უფლება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარგნილია განცალკევებულად. ცვეთი ხარჯი დარიცხულია კონტრაქტის მთლიანი ვადის მიხედვით.

12 სხვა ვალდებულებებზე გაკეთებული ანარიცხები და გაწეული დანახარჯები

ათას ქართულ ლარში	აღდგენის ხარჯების ანარიცხი	სულ
საბალანსო ღირებულება 2019 წლის 1 იანვარს	397	397
დარიცხვა	-	-
ცვლილება შეფასებაში	(18)	(18)
დისკონტი	57	57
გამოყენება	-	-
საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბერს	436	436

ათას ქართულ ლარში	აღდგენის ხარჯების ანარიცხი	სულ
საბალანსო ღირებულება 2018 წლის 1 იანვარს	354	354
დარიცხვა	-	-
ცვლილება შეფასებაში	(8)	(8)
დისკონტი	52	52
გამოყენება	-	-
საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბერს	398	398

აღდგენის დანახარჯების ანარიცხი - ზოგიერთი საიჯარო ხელშეკრულების მიხედვით, საიჯარო პერიოდის ბოლოს, კომპანია ვალდებულია დაუყოვნებლივ დაუბრუნოს აქტივი/სივრცე მეიჯარეს თავისუფალ და კარგ/მისაღებ პირობებში, ყოველგვარი წინააღმდეგობის/დაბრკოლების გარეშე. კომპანია მხედველობაში იღებს და ქმნის ანარიცხს იმ სარემონტო სამუშაოების დანახარჯებისთვის, რომლის გაწევაც მას მოუწევს იჯარის ბოლოს ძირითადი საშუალების გასარემონტებლად. ანარიცხის მოცულობის გაანგარიშება ხდება მენეჯმენტის მიერ, რომელსაც საფუძვლად უდევს გამოთვლა, რომლის მიხედვითაც სავაჭრო მაღაზიის რემონტისთვის, მის საწყის მდგომარეობამდე მისაყვანად, ერთ კვადრატულ მეტრზე, დაახლოებით 20 დოლარია საჭირო. ანარიცხის ამორტიზაციისთვის გამოიყენება 14.5%-იანი საპროცენტო განაკვეთი.

ანარიცხების ანალიზი წარმოდგენილია ქვედა ცხრილში:

ათას ქართულ ლარში	2019 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
გრძელვადიანი	300	259
მოკლევადიანი	136	139
	436	398

იჯარით აღებული აქტივების გაუმჯობესების საწყისი შეფასება მოიცავს აღდგენის დანახარჯების თავდაპირველ შეფასებას.

13 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ათას ქართულ ლარში	2019 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო ვალდებულებები:		
დაკავშირებულ მხარეებთან	3,690	4,181
მესამე მხარეებთან	643	258
	4,333	4,439

უცხოური ვალუტის კურსის ცვლილების ეფექტის ზეგავლენაზე მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ შენიშვნა 24(ა).

14 შემოსავალი

ათას ქართულ ლარში	2019 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
პეკინი	6,998	7,693
ისტ პოინტი	5,341	5,279
თბილისი მოლი	4,597	4,855
ბათუმი	4,370	3,864
ქუთაისი	3,726	3,773
მერანი	2,980	3,262
სიტი მოლი	2,543	2,576
ქარვასლა	1,477	1,796
გლდანი მოლი	1,151	1,289
	<u>33,183</u>	<u>34,387</u>

კომპანია შემოსავალს იღებს ტანსაცმლის საცალო რეალიზაციით. თითოეული მაღაზიის მიხედვით შემოსავლები წარმოდგენილია ზედა ცხრილში.

15 რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

ათას ქართულ ლარში	2019 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
პეკინი	3,958	3,918
ისტ პოინტი	3,044	2,726
თბილისი მოლი	2,616	2,462
ბათუმი	2,493	2,237
ქუთაისი	2,147	2,123
მერანი	1,719	1,766
სიტი მოლი	1,512	1,382
ქარვასლა	1,194	1,872
გლდანი მოლი	898	1,348
	<u>19,581</u>	<u>19,834</u>

16 გაყიდვისა და მარკეტინგის ხარჯები

ათას ქართულ ლარში	2019 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
ცვეთის ხარჯი	4,741	1,535
ხელფასის ხარჯი	1,693	1,583
იჯარის ხარჯი (ცვლადი)	1,486	7,654
მარკეტინგის ხარჯი	456	346
სადებეტო/საკრედიტო ბარათების საკომისიოს ხარჯი	198	189
სულ	<u>8,574</u>	<u>11,307</u>

17 ადმინისტრაციული ხარჯები

ათას ქართულ ლარში	2019 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
თანამშრომელთა სარგებელი	257	155
მომსახურების ხარჯები	332	328
ცვეთა და ამორტიზაცია	58	59
იჯარის ხარჯი	26	8
სხვა	230	320
	903	870

იჯარის ხარჯი წარმოადგენს ადმინისტრაციული ოფისის იჯარის ხარჯს.

18 ფინანსური ხარჯები

ათას ქართულ ლარში	2019 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
საპროცენტო ხარჯი სესხებზე	543	1,076
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ხელშეკრულებებზე	2,360	-
ანარიცხის დისკონტირება	56	51
სულ ფინანსური ხარჯები	2,959	1,127

19 ზარალი საკურსო სხვაობიდან

ათას ქართულ ლარში	2019 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
ფინანსური აქტივები ამორტიზირებული დირებულებით		
ნაღდი ფული და ფული ბანკში	127	227
ფინანსური ვალდებულებები ამორტიზირებული დირებულებით		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	663	182
სალიზინგო ვალდებულებები	1,586	-
	2,376	409

20 მოგების გადასახადი

გადავადებული გადასახადი არ არის მნიშვნელოვანი საქართველოს საგადასახადო გარემოში, როგორც ეს აღწერილია სააღრიცხვო პოლიტიკის აღრიცხვის ნაწილში.

21 შემდგომი მოვლენები

2020 წლის დასაწყისში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ COVID-19 კორონავირუსის გამოვლენა პანდემიად გამოაცხადა. გლობალურად, COVID-19-მა გამოიწვია ბიზნესის საქმიანობაში მნიშვნელოვანი შეფერხება და ეკონომიკური გაურკვევლობის მნიშვნელოვანი ზრდა, აქტივების ფასებით და ვალუტის გაცვლითი კურსების მომატებული ცვალებადობით. 2020 წლის მარტში, საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება ყველა კომერციული ბიზნესის შეჩერების შესახებ, გარკვეული გამონაკლისების გარდა.

ამ ფაქტის გათვალისწინებით, კომპანიას მოუწია შემდეგი გადაწყვეტილებების მიღება:

- დროებით დაიხურა ყველა მაღაზია;
- დროებით დაიხურა ქარხანა, რომელშიც კომპანია აწარმოებს ავეჯს;
- პანდემიის პერიოდში გაყიდვების თანამშრომლები კვლავ წარმოადგენდნენ კომპანიის დასაქმებულებს, მაგრამ დროებით არ იღებდნენ ხელფასებს. კომპანიას არ მიუღია გადაწყვეტილება რომელიმე მათგანის გათავისუფლების შესახებ;
- ყველა სხვა კომპანიის თანამშრომელი დროებით არ იღებდა ხელფასს. ადმინისტრაციული პერსონალი აგრძელებდა მუშაობას დისტანციურ რეჟიმში;

2020 წლის ივნისის დასაწყისში კომპანიამ საქართველოს მასშტაბით გახსნა ყველა მაღაზია, განაახლა პროდუქციის წარმოების პროცესი და დაუბრუნდა თავის საქმიანობას ბიზნესის ნორმალურ რეჟიმში.

2020 წლის ივნისის დასაწყისში, კომპანიამ გახსნა ყველა მაღაზია. 2020 წლის ივნისში გაყიდვების მოცულობა უტოლდებოდა 2019 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს, რაც აიხსნება „გადაღებული მოთხოვნის ეფექტით“, მაგრამ ივლისში გაყიდვები ისევ შემცირდა. ჯერ კიდევ არ არის ცხადი, თუ როდის დაუბრუნდება გაყიდვების მოცულობა პანდემიამდელ მონაცემებს/შედეგებს.

კომპანია მიიჩნევს, რომ 2019 წლის 31 დეკემბრის ფინანსურ ანგარიშგებაში, ფინანსური ანგარიშგების ეფექტი COVID-19- დან გამომდინარე, არ საჭიროებს კორექტირებას, ვინაიდან მნიშვნელოვანი ცვლილებები კომპანიის ბიზნეს საქმიანობაში და ეკონომიკურ პირობებში მოხდა საანგარიშო თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენების შედეგად. ამრიგად, ამ მოვლენების გამო, კომპანიას არ შეუტანია კორექტირებები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ ფინანსური ანგარიშგების ფორმებში.

22 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

დაშვებები და მსჯელობები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას, ამასთან გაითვალისწინება სხვა ფაქტორებიც, როგორებიც არის მომავალი მოვლენების განვითარებასთან დაკავშირებული მოლოდინები, რომლებიც კონკრეტულ სიტუაციაში გონივრულად მიიჩნევა.

22.1 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები

კომპანია შეფასებებს აკეთებს სამომავლო ფაქტორების გათვალისწინებით. მიღებული სააღრიცხვო შეფასებები, შესაძლოა განსხვავებული იყოს რეალურ შედეგისაგან. შეფასებები და დაშვებები, რომლებიც შეიცავს მნიშვნელოვან რისკს სამომავლოდ აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღერებულების კორექტირების საჭიროებისა, განხილულია ქვემოთ:

ძირითადი საშუალებების საციცოცხლო ვადები

ხელმძღვანელობამ შეაფასა ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის ხანგრძლივობა. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ეს შეფასებები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ამ აქტივების ეკონომიკური მომსახურების ვადის ხანგრძლივობისგან. თუ რეალური სასარგებლო მომსახურების ვადა განსხვავდება ამ შეფასებებისგან, მაშინ ფინანსური ანგარიშგებები არსებითად განსხვავებული იქნება.

მარაგები

კომპანიის მენეჯმენტი აფასებს მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულებებს, თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული ყველაზე საიმედო მტკიცებულებების გათვალისწინებით. ამ მარაგების მომავალ რეალიზაციაზე შეიძლება გავლენა იქონიოს სამომავლო ტექნოლოგიურმა ცვლილებებმა, ან ბაზრის სხვა ცვლილებებმა, რამაც შეიძლება შეამციროს მომავალი სარეალიზაციო ფასები.

22.2 ძირითადი ვარაუდები მომავალთან დაკავშირებით

მარაგების მოძველება

მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ კომპანია წარმატებით აღმოფხვრის მოძველებულ მარაგებს საწყობისა და აუთლეტების გაყიდვების საშუალებით მომდევნო 12 თვის განმავლობაში, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მარაგების სავარაუდო დებულების გადამეტებაზე ზარალის გარეშე. კომპანიის მენეჯმენტი ვარაუდობს, რომ მომდევნო 12 თვის განმავლობაში კომპანია წარმატებით შეძლებს მოძველებული მარაგების რეალიზებას საწყობიდან და აუთლეტ მაღაზიებიდან, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შექმნილ ანარიცხებზე ნაკლები დანაკარგებით.

ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული საკითხები

მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ არ არსებობს მნიშვნელოვანი რისკები, რაც უკავშირდება კომპანიის შესაძლებლობას, გააგრძელოს ოპერაციები უახლოეს მომავალში მოქმედი საწარმოს პრინციპით. მენეჯმენტს მიაჩნია, რომ COVID 19- ით გამოწვეული ხელისშემშლელი ფაქტორები ზოგადად საცალო ბიზნესისთვის და კომპანიისთვის, თუმცა 2020 წლის მეორე კვარტალში ოპერაციების მნიშვნელოვანი ვარდნა გამოიწვია, დასრულებდა 2021 წლის გაზაფხულისთვის და კომპანია შეძლებს გააგრძელოს ოპერაციები ნორმალურ საოპერაციო დონეზე. აგრეთვე, იხილეთ შენიშვნა 26.1 საქართველოში არსებულ ბიზნეს გარემოსთან დაკავშირებით.

23 ფინანსური ინსტრუმენტები

23.1 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის დეტალები და განხორციელების მეთოდები, მათ შორის აღიარების კრიტერიუმები და საფუძველი, რომლის მიხედვითაც ხდება შემოსავლის თუ ხარჯის აღიარება, თითოეული კლასის ფინანსური აქტივის, ვალდებულების და კაპიტალის ინსტრუმენტის შესაბამისად, წარმოდგენილია შენიშვნა 6-ში.

23.2 ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები საბალანსო ღირებულებით კატეგორიების მიხედვით:

ათას ქართულ ლარში	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
ფინანსური აქტივები		
ამორტიზირებული ღირებულება		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	161	110
ნაღდი ფული და ფული ბანკში	1,352	966
სულ ფინანსური აქტივები	1,513	1,076
ფინანსური ვალდებულებები		
ამორტიზირებული ღირებულება		
სესხები	6,075	4,107
ფინანსური იჯარის ვალდებულება	20,331	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	4,333	4,439
	30,739	8,546

24 ფინანსური რისკების მართვა

კომპანია ექვემდებარება სხვადასხვა რისკებს ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით. ძირითადი რისკების ტიპებია: საბაზრო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკი.

კომპანია არ არის ჩართული ფინანსური აქტივებით ვაჭრობაში სპეკულაციური მიზნებისათვის და არც ოფციონებს გასცემს. კომპანიის ყველაზე მნიშვნელოვანი ფინანსური რისკები აღწერილია ქვემოთ.

ფინანსური რისკის ფაქტორები

a) საბაზრო რისკი

კომპანია არ არის დაცული საბაზრო რისკისაგან ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების გამო და კონკრეტულად სავალუტო, საპროცენტო განაკვეთისა და სხვა ფასთან დაკავშირებული რისკისაგან, რომელიც გამოწვეულია, როგორც საოპერაციო აგრეთვე, საინვესტიციო საქმიანობიდან.

უცხოური ვალუტის რისკი

კომპანია დენომინირებულ გარკვეულ ტრანზაქციებს ახორციელებს უცხოურ ვალუტაში. აქედან გამომდინარე, წარმოიშობა სავალუტო კურსის მერყეობასთან დაკავშირებული რისკი.

ქვედა ცხრილში მოცემულია კომპანიის უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც წარმოშობს უცხოური ვალუტის რისკს. თანხები წარმოდგენილია ქართულ ლარში ეროვნული ბანკის მიერ წლის ბოლო დღისთვის დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოური ვალუტის რისკი ძირითადად უკავშირდება სავაჭრო ვალდებულებებსა და ფინანსური იჯარის ვალდებულებებს, რაც ძირითადად აღრიცხულია აშშ დოლარში.

2019 წლის 31 დეკემბერი

დოლარი

ფინანსური აქტივები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

68

ნაღდი ფული და ფული ბანკში

-

68

ფინანსური ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

3,648

ფინანსური იჯარის ვალდებულება

58,303

61,951

წმინდა პოზიცია

(61,883)

2018 წლის 31 დეკემბერი

დოლარი

ფინანსური აქტივები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

-

ნაღდი ფული და ფული ბანკში

-

-

ფინანსური ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

4,080

4,080

წმინდა პოზიცია

(4,080)

ცხრილი ასახავს დოლარის მიმართ ლარის 15%-იანი (2018: 15%) კლება/მატების გავლენას კომპანიაზე. აღნიშნული 15% (2018: 15%) არის მმართველობის მიერ შეფასებული სავარაუდო ცვლილება ლარის, დოლარის და ევროს გაცვლით კურსებში. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ დომინანტ ვალუტას და ახდენს წლის ბოლოს მათ კორექტირებას 15%-იანი (2018: 15%) განაკვეთით.

ქართული ლარი რომ გამყარებულიყო დოლარსა და ევროსთან მიმართებაში 15%-ით (2018: 15%), მაშინ ამას ექნებოდა შემდეგნაირი გავლენა:

ათას ქართულ ლარში

	აშშ დოლარის გავლენა	
	2019	2018
მოგება-ზარალი:		
ლარის გამყარება	9,303	627
ლარის დევალაცია	(9,303)	(627)

სავალუტო კურსის ცვლილებასთან დაკავშირებული რისკის სიდიდე, წლის განმავლობაში დამოკიდებულია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების მოცულობაზე. მიუხედავად ამისა, მიჩნეულია რომ ზემოთ აღნიშნული ანალიზი საკმაო მიახლოებით წარმოადგენს კომპანიის დამოკიდებულებას სავალუტო რისკზე.

b) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი ნიშნავს იმას, რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც კომპანია მიიღებს ფინანსურ ზარალს. კომპანიის საკრედიტო რისკი დანაშაურობს მის ფინანსურ აქტივებთან, მათ შორის საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებთან და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან.

შორის საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებთან დაკავშირებული საკრედიტო რისკი უმნიშვნელოა, რადგან ფული განთავსებულია მხოლოდ მსხვილ, საიმედო ბანკებში.

კომპანია შემოსავალს იღებს საცალო გაყიდვებიდან, სადაც ფულის მიღება ხდება პროდუქციის გაყიდვისთანავე. შესაბამისად, კომპანია არ ახორციელებს მომხმარებელთა გადახდისუნარიანობის მონიტორინგს.

კომპანიას არ აქვს რაიმე უზრუნველყოფები დებიტორულ მოთხოვნებზე. კომპანია არ ფლობს გირაოს ან უზრუნველყოფებს, არც სხვა ფინანსურ აქტივებზე (მაგ. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები ბანკებში).

სავაჭრო მოთხოვნები

მთლიანი სავაჭრო მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარებისთვის, კომპანია იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მოდელს, ვინაიდან ეს მუხლები არ შეიცავენ მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაზომვისთვის, სავაჭრო მოთხოვნები შეფასდა საერთო მიდგომით, ვინაიდან მათ აქვთ საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლები. მათი დაჯგუფება ხდება ხანდაზმულობის მიხედვით.

სავაჭრო მოთხოვნები ჩამოიწერება, როცა აღარ არსებობს მათი დაბრუნების გონივრული მოლოდინი.

c) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დროულად დაფაროს ვალდამდგარი ვალდებულებები.

კომპანია ახორციელებს გონივრულ პოლიტიკას ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ექვივალენტების ფლობას, აგრეთვე

მაღალ ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა კომპანიამ დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასეხო ვალდებულება.

შემდეგი ცხრილი დეტალურად ასახავს არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებების გადახდის პერიოდს. ცხრილი შედგენილ იქნა არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადებით, დაფუძნებული უახლოეს თარიღზე, როდესაც შეიძლება კომპანიის მიმართ მოთხოვნილ იქნას აღნიშნული ვალდებულების გასტუმრება. ცხრილი შეიცავს ფინანსური ნაკადების, როგორც ძირს, ასევე პროცენტს.

2019	საპროცენტო განაკვეთის არმქონე	ფიქსირებული-ლი საპრო-ცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტები	ფინანსური იჯარის ვალდებულე ბა	სულ
საშუალო შეწონილი ეფექტური (%)		13.18%	10.50%	
6 თვეზე ნაკლები	4,334	1,261	3,231	8,826
6 თვიდან 1 წლამდე	-	1,261	2,899	4,160
1-5 წლამდე	-	4,412	19,357	23,769
საშუალო შეწონილი ეფექტური (%)	-	-	3,244	3,244
	4,334	6,934	28,731	39,999
2018	საპროცენტო განაკვეთის არმქონე	ფიქსირებული-ლი საპრო-ცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტები	ფინანსური იჯარის ვალდებულე ბა	სულ
საშუალო შეწონილი ეფექტური (%)		14.38%		
6 თვეზე ნაკლები	4,439	3,534	-	79,73
6 თვიდან 1 წლამდე	-	781	-	781
1-5 წლამდე	-	-	-	4
საშუალო შეწონილი ეფექტური (%)	-	-	-	-
	4,439	4,315	-	8,754

კომპანია ითვალისწინებს მოსალოდნელ ფულად ნაკადებს ფინანსური აქტივებისგან ლიკვიდურობის რისკის, კერძოდ ფულადი და დებიტორული დავალიანებების, შესაფასებლად და სამართავად. კომპანიის ფულადი რესურსები და სავაჭრო მოთხოვნები აჭარბებს მიმდინარე ფულადი ნაკადების გადინებაზე მოთხოვნას.

25 კაპიტალის რისკის მართვა

კომპანია ისე მართავს კაპიტალს, რომ შეძლოს საქმიანობის გაგრძელება ფუნქციონირებადობის პრინციპით და აქციონერები უზრუნველყოს ადეკვატური უკუგებით.

კომპანიის კაპიტალის სტრუქტურა შედგება გამოშვებული კაპიტალისგან და აკუმულირებულ მოგებას, და მოზიდული სახსრებისაგან, რომელიც მოიცავს სესხებს, რომლებსაც იხილავთ შენიშვნა 10-ში.



კომპანიის მენეჯმენტი აფასებს კომპანიის კაპიტალის მოთხოვნას, რათა შეინარჩუნოს დაფინანსების ეფექტური საერთო სტრუქტურა და ამავე დროს თავიდან აიცილოს ზედმეტი დამოკიდებულება ნასესხებ სახსრებზე. ამ ანალიზისას გაითვალისწინება კომპანიის სხვადასხვა კლასის სესხების სუბორდინაციის დონეები. კომპანია მართავს კაპიტალის სტრუქტურას და ახდენს ამ სტრუქტურის კორექტირებებს იმ ეკონომიკური პირობებისა და რისკის მახასიათებლების ცვლილებების გათვალისწინებით, რომლებიც ახასიათებს ძირითად აქტივებს. კაპიტალის სტრუქტურის კორექტირების მიზნით კომპანიამ შეიძლება შეცვალოს გასანაწილებელი დივიდენდების ოდენობა ან გაყიდოს აქტივები სესხების დასაფარად.

თანხები, რომლებსაც კომპანია კაპიტალში აღრიცხავს წლის ბოლოსთვის შეჯამებულია შემდეგნაირად:

ათას ქართულ ლარში	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
მთლიანი კაპიტალი	404	7,893
მინუს: ნაღდი ფული და ფული ბანკში	(1,352)	(966)
კაპიტალი	(948)	6,927
მთლიანი კაპიტალი	404	7,893
სესხები	(6,075)	(4,107)
სრული ფინანსირება	(5,671)	3,786
კაპიტალის თანაფარდობა სრულ დაფინანსებასთან	(0.17)	1.83

26 გაუთვალისწინებელი გარემოებები

26.1 ბიზნეს გარემო

საქართველო განაგრძობს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცვლილებებს. როგორც განვითარებადი ბაზარი, საქართველო არ ფლობს განვითარებულ ბიზნეს და მარეგულირებელ ინფრასტრუქტურას, რომელიც ძირითადად დამახასიათებელია უფრო თავისუფალი საბაზრო ეკონომიკისათვის. უფრო მეტიც, ეკონომიკური მდგომარეობა ზღუდავს საქმიანობის მოცულობას ფინანსურ ბაზრებზე, რომელიც შეიძლება არ იყოს ასახული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებებზე. შემდგომი ეკონომიკური განვითარების მთავარი დაბრკოლებაა ცენტალიზებული ეკონომიკური სტრუქტურას, რეგიონალურ არასტაბილურობასა და ეკონომიკურ კრიზისთან ერთად ეკონომიკისა და ინსტიტუციონალური განვითარების დაბალი დონე.

კოვიდ 19-ის პანდემიის გამო, იმ ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებამ, რომლებიც თანამშრომლობენ საქართველოსთან და რომლებზეც საქართველოს ეკონომიკა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული, გამოიწვია ფულადი გზავნილების შემცირება საზღვარგარეთიდან. მომავალში სამთო პროდუქტებზე საერთაშორისო ფასების შემცირებამ, პირდაპირი კაპიტალის ინვესტიციების შესაძლო მოზიდვასთან დაკავშირებულმა გაურკვევლობებმა, ინფლაციამ, ქართული ვალუტის მნიშვნელოვანმა დამოკიდებულებამ ამერიკულ დოლარზე და საქართველოს მთავრობის მიერ COVID 19-ის საპასუხოდ მიღებულმა გამაყვანებელმა ზომებმა, შესაძლოა გამოიწვიოს საქართველოს ეკონომიკისა და კომპანიის მდგომარეობის გაუარესება. მიუხედავად იმისა, რომ ეს განუსაზღვრელობა მოიცავს მრავალ დაშვებებს და ვარაუდებს, ხელმძღვანელობას არ შეუძლია კომპანიის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე გავლენის შეფასება.

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ მიმდინარე პირობებში სათანადო ზომები ხორციელდება კომპანიის ეკონომიკური სტაბილურობის შესანარჩუნებლად.

26.2 გადასახადები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება ხშირი საკანონმდებლო ცვლებადობით, რომლებიც ხშირად ხდება ინერპრეტაციების საგანი. ხშირად, განსხვავებული ინტერპრეტაციები არსებობს სხვადასხვა საგადასახადო ორგანოსა და იურისდიქციებში. გადასახადები საგადასახადო ორგანოების მხრიდან ექვემდებარება განხილვას და შემოწმებას, რომელიც წარმოშობს კანონით გათვალისწინებულ მძიმე ჯარიმებსა და საურავებს.

27 ფინანსური საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების რეკონსილაცია

ცვლილებები კომპანიის ფინანსურ ვალდებულებებში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ათას ქართულ ლარში

	გრძელვადი ნი სესხები	მოკლევადი ანი სესხები	ფინანსურ ი იჯარის ვალდებუ ლება	სულ
2018 წლის 1 იანვარი	4,075	6,024	-	10,099
ფულადი ნაკადები				
შემოსვლა	-	4,076	-	4,076
დაფარვა	-	(9,917)	-	(9,917)
პროცენტის გადახდა	-	(1,227)	-	(1,227)
არაფულადი				
პროცენტის დარიცხვა	-	1,076	-	1,076
რეკლასიფიკაცია	(4,075)	4,075	-	-
31 დეკემბერი 2018	-	4,107	-	4,107
ფულადი ნაკადები				
შემოსვლა	-	6,370	-	6,370
დაფარვა	-	(4,530)	(3,980)	(8,510)
პროცენტის გადახდა	-	(415)	(2,360)	(2,775)
არაფულადი				
საიჯარო ვალდებულებების აღიარება ფასს 16-ის მიხედვით	-	-	22,725	22,725
პროცენტის დარიცხვა	-	543	2,360	2,903
სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტი	-	-	1,586	1,586
რეკლასიფიკაცია	1,950	(1,950)	-	-
31 დეკემბერი 2019	1,950	4,125	20,331	26,406

28 დაკავშირებული მხარეები

კომპანიის დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენს დედა კომპანია, კომპანიის მენეჯმენტი და სხვა დაკავშირებული მხარეები.

28.1 მაკონტროლებელი ურთიერთობები

კომპანია კონტროლდება სს "Koton Magazacilik Textil Sanayi Ve Ticaret Anonim Sirketi" -ის მიერ, რომელიც წარმოადგენს კომპანიის 100%-ის მფლობელს. აღნიშნული კომპანია ოპერირებს თურქეთში და მისი ფინანსური ანგარიშგება არ არის საჯაროდ ხელმისაწვდომი.

28.2 ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

2019 წლის განმავლობაში კომპანიას ჰქონდა შემდეგი ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან:

ათას ქართულ ლარში		
ოპერაციები	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
დედა კომპანია		
საქონლის შეძენა	22,834	19,098
მენეჯმენტი		
ხელფასი და ბონუსი	68	68
ათას ქართულ ლარში		
ნაშთები	2019 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
დედა კომპანია		
სავაჭრო ვალდებულებები	3,690	4,181

29 შესადარისი ფინანსური ანგარიშგებების გადაანგარიშება

2019 წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის მენეჯმენტმა გამოავლინა შეცდომები შესადარის ინფორმაციებში, რაც უკავშირდება ქვემოთ მოცემულ ფინანსური ანგარიშგებების ელემენტებს. აღნიშნული შეცდომები კომპანიის მენეჯმენტმა გაასწორა და წარადგინა გადაანგარიშებული ფინანსური ანგარიშგებები.

- საიჯარო ხელშეკრულებების ფარგლებში კომპანიას გადახდილი აქვს წინასწარ გადახდები, რაც იქვეთება იჯარის ვადის ბოლო საიჯარო გადასახდელებთან. აღნიშნული სახის ავანსები აღრიცხული იყო არასწორად როგორც ფინანსური აქტივი ამორტიზირებული ღირებულებით. მსგავსი წინასწარ გადახდები არ აკმაყოფილებს ფინანსური აქტივის აღიარების განსაზღვრებას (არ არის ფული, არ არის ფულის მიღების უფლება, არ არის სხვა კომპანიის კაპიტალის ინსტრუმენტი) და არ შეიძლებოდა აღრიცხულიყო როგორც ფინანსური აქტივი. არასწორად აღიარებული დისკონტირების ეფექტი ელიმინირებულ იქნა კომპანიის მიერ.
- 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მარაგებთან დაკავშირებული ანარიცხები ბალანსში წარდგენილი იყო ცალკე მუხლად. კომპანიის მენეჯმენტმა გადაწყვიტა აღნიშნული ანარიცხები წარადგინოს ბალანსში როგორც მარაგების ნაწილი.
- შემდეგი ტიპის ხარჯები 2018 წელს კომპანიას წარდგენილი ჰქონდა აღმინისტრაციულ ხარჯებში - გაყიდვისა და მარკეტინგის ხარჯების ნაცვლად:
 - სავაჭრო მაღაზიებში არსებული ძირითადი საშუალებების ცვეთა;
 - სავაჭრო მაღაზიების იჯარის ხარჯი;
 - სავაჭრო მაღაზიებთან დაკავშირებული მომსახურების ხარჯები;
 - საქონლის რეალიზაციასთან დაკავშირებული პერსონალის ანაზღაურება;
 - სხვა ხარჯები, რაც დაკავშირებულია სავაჭრო მაღაზიებთან.

შესადარისი მონაცემებიც ასევე იქნა რეკლასიფიცირებული და წარდგენილი როგორც გაყიდვისა და მარკეტინგის ხარჯები.

ქვემოთ მოცემული ცხრილი შეჯამებას უკეთებს 2018 წლის 1 იანვრის და 31 დეკემბრის მდგომარეობით განხორციელებულ კორექტირებებს, რამაც ცვლილებები გამოიწვია როგორც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, ასევე მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში. თითოეული კორექტირების შინაარსი იხილეთ ზემოთ აღწერილ განმარტებებში.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ათას ქართულ ლარში

	31 დეკემბერი 2018			
	აღრე წარდგენილი	კორექტირებები	გადაანგარიშებული	შენიშვნა
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
გრძელვადიანი სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	428	588	1,016	a
მიმდინარე აქტივები				
მარაგები	6,564	(43)	6,521	b
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	694	(232)	462	a
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი და რეზერვები				
დაგროვილი მოგება/(ზარალი)	6,204	357	6,561	სხვა კორექტირებების წმინდა ეფექტი
გრძელვადიანი ვალდებულებები				
ანარიცხები	328	(69)	259	b
მიმდინარე ვალდებულებები				
ანარიცხები	113	26	139	b

ათას ქართულ ლარში

	1 იანვარი 2018			
	აღრე წარდგენილი	კორექტირებები	გადაანგარიშებული	შენიშვნა
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
გრძელვადიანი სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	543	544	1,087	a
მიმდინარე აქტივები				
მარაგები	7,177	(38)	7,139	b
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	863	(114)	749	a
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი და რეზერვები				
დაგროვილი მოგება/(ზარალი)	5,454	429	5,883	სხვა კორექტირებების წმინდა ეფექტი
ანარიცხები	101	(38)	63	b

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ათას ქართულ ლარში

	2018 წლის 31 დეკემბერი			
	აღრე წარდგენილი	კორექტირებები	გადაანგარიშებული	შენიშვნა
რეალიზაციის და მარკეტინგის ხარჯები	(347)	(10,960)	(11,307)	c
ადმინისტრაციული ხარჯები	(11,830)	10,960	(870)	c
შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან	1,967	-	1,967	
ფინანსური შემოსავალი	72	(72)	-	a
მოგება/ ზარა დაბეგვრამდე	750	(72)	678	წმინდა შედეგი

მმართველობის ანგარიშგება

(იხილეთ შემდეგი გვერდიდან)



შპს Koton Textile Limited

მმართველობითი ანგარიში

2019 ფინანსური წელი

მოკლე ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს KOTON TEXTILE LIMITED დაფუძნდა 2013 წლის 1 აპრილს. კომპანიის ერთპიროვნული დამფუძნებელია KOTON MAGAZACILIK TEKSTIL SANAYI VE TICARET ANONIM SIRKETI, რომელიც წარმოადგენს თურქულ კომპანიას, რომელიც დაარსდა 1988 წელს, თურქეთში და რომლის ძირითადი საქმიანობაცაა ტექსტილით ვაჭრობა. „KOTON MAGAZACILIK TEKSTIL SANAYI VE TICARET ANONIM SIRKETI“-ს მალაზიათა ქსელი აქვს მთელ თურქეთში. თურქეთის გარდა კოტონის პროდუქცია იყიდება ევროპაში, აზიასა და ჩრდილოეთ აფრიკაში.

კომპანიის სამმართველო გადაწყვეტილებები ძირითადად მიიღება სათაო ოფისში, თურქეთში. თუმცა, გარკვეულ გადაწყვეტილებებზე უფლებამოსილებები დელეგირებულია რეგიონალურ მენეჯერზე.

2019 წელს კომპანიაში საშუალოდ დასაქმებული იყო 363 ადამიანი. ადმინისტრაცია მოიცავს 6 თანამშრომელს:

- რეგიონალური მენეჯერი
- გაყიდვებისა და ოპერაციების სპეციალისტი
- ადამიანური რესურსების მენეჯერი
- ვიზუალ მერჩენდაიზერი
- მთავარი ბუღალტერი
- უფროსი ბუღალტერი

კომპანიის ფილიალები

KOTON-ის ბრენდი პოპულარობით სარგებლოს საქართველოში. წარმოდგენილია 9 ფილიალით, მათ შორის ორი Outlet ტიპის მაღაზიით. კომპანიას აქვს ორი მაღაზია რეგიონში, ბათუმში და ქუთაისში. ხოლო, 7 მაღაზია თბილისში. ფილიალები ფუნქციონირებენ შემდეგ მისამართებზე:

1. **თბილისი, რუსთაველის N42 - სავაჭრო ცენტრი „მერანი“, 2013 წელი.**
2. **თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, 16 კმ - თბილისი მოლი, 2014 წელი.**
3. **თბილისი, პეკინის 4 - ქუჩის მაღაზია, 2014 წელი.**
4. **თბილისი, გლდანი, ხიზანიშვილის ქუჩა - სავაჭრო ცენტრი გლდანი მოლი, 2014 წელი,**
5. **თბილისი, აღ. თვალჭრელიძის N2 - ისტ ფონითი, 2015 წელი.**
6. **ქუთაისი, თამარ მეფის გამზირი N14 - ქუთაისი მოლი, 2015 წელი.**
7. **თბილისი, ხიზაბავრას ქუჩა N1 - გლდანი სითი მოლი, 2017 წელი.**
8. **თბილისი, დადიანის ქუჩა N7 - სავაჭრო ცენტრი ქარვასლა, 2017 წელი.**
9. **ბათუმი, გორგილაძის N9 - ქუჩის მაღაზია, 2017 წელი.**

კაპიტალის სტრუქტურა

კომპანიის კაპიტალის 100%-იანი წილის მფლობელია თურქული კომპანია KOTON MAGAZACILIK TEKSTIL SANAYI VE TICARET ANONIM SIRKETI. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 1,689,204 ლარს, ხოლო დაგროვილი ზარალი - 1,719,017 ლარს. არც 2019 წლის განმავლობაში და არც საანგარიშგებო წლის დასრულების თარიღიდან ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე არ მომხდარა დივიდენდების გაცემა და ასევე, ადგილი არ ჰქონია რაიმე ცვლილებას კომპანიის კაპიტალის სტრუქტურაში.

კომპანიის განვითარება

კომპანიის პოპულარობას განსაზღვრავს გამორჩეული დიზაინი, მრავალფეროვანი არჩევანი და ხელმისაწვდომი ფასები. კომპანიას მუდმივად აქვს კომუნიკაცია მომხმარებლებთან სხვადასხვა არხის გამოყენებით (Facebook, TV, სარეკლამო ბილბორდი) და აწვდით მათ სიახლეებს ფასდაკლებებისა და სხვადასხვა სიახლეების შესახებ.

კომპანიის ოფიციალური ვებგვერდი: <https://www.koton.com/en/>,

ფეისბუქი: https://www.facebook.com/KotonGlobal/?fref=ts&brand_redir=33709448234

2019 წლის ბოლოს კომპანიაში ჩამოყალიბდა in-house საბუღალტრო განყოფილება. მანამდე საბუღალტრო მომსახურება აუთსორსინგზე იყო გატანილი. კომპანიაში წარმატებით დაინერგა ERP სისტემა, რომელიც წარმატებით გაეშვა 2020 წლიდან. ERP სისტემის დანერგვა ხელს შეუწყობს კომპანიის რესურსების ოპტიმიზაციას და ეფექტურობის ზრდას.

კომპანიის საქმიანობა სრულად შესაბამისობაშია არამარტო შრომითი კოდექსით დადგენილი წესებთან, არამედ ქვეყანაში მოქმედ სხვა რეგულაციასთან.

2019 წელს დაწყებული პანდემიის და ლარის გაცვლითი კურსის ვარდნის საპასუხოდ, კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს პროდუქციაზე ფასების გაზრდას. კომპანიას ორიენტირი აღებული აქვს რეალიზაციის ზრდაზე და შესაბამისად, მიუხედავად პანდემიისა 2020 წელს ვარაუდობს იმაზე მეტი შემოსავლის მიღებას, ვიდრე დაგეგმილი ჰქონდა პანდემიის დაწყებამდე.

ფინანსური მაჩვენებლები

2019 წელს გაყიდვები წინა წელთან შედარებით 3,5%-ით შემცირდა. გარდა გაყიდვების შემცირებისა, ასევე შემცირდა მარჟის კოეფიციენტი. 2018 წელს თუ იყო 42%, 2019 წელს მარჟის კოეფიციენტი შეადგინა 31%. ამ ორმა ფაქტორმა, ასევე ფინანსური ხარჯების ზრდამ განაპირობა კომპანიის ზარალზე გასვლა.

2019 წლის განმავლობაში კომპანიას ბიუჯეტში გადახდილი აქვს **4,983,567** ლარი.

კომპანია მაქსიმალურად იცავს ქვეყანაში მოქმედ კანონმდებლობას, მათ შორის შრომის კანონმდებლობას. დაცულია დასაქმებულთა უფლებები და მათ შეუძლიათ ისარგებლონ ყველა იმ შეღავათით და სარგებლით, რაც კანონმდებლობით ან/და კომპანიის შიდა პოლიტიკით არის დადგენილი. მათი შრომითი ხელშეკრულებები სრულად შესაბამისობაშია დასაქმებულის უფლებებთან. დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის სამართლებრივი დავა არ ყოფილა.

გამოწვევები

იმის გამო, რომ ყოველწლიურად ახალი ბრენდები შემოდის ქვეყანაში, ასევე იხსნება ახალი სავაჭრო ცენტრები, შესაბამისად იზრდება კონკურენცია დარგში. ერთ-ერთი გამოწვევა ზოგადად ქვეყნის ეკონომიკაშია ეს არის ლარის კურსის მუდმივი გაუფასურება. საქონელი, რომლის შესყიდვაც ხდება დოლარში, ვალუტის კურსის ცვლილების გამო მუდმივად მზარდი თვითღირებულებით ხასიათდება. ამას შედეგად მოსდევს ფასების ზრდა, რაც გაყიდვებზე უარყოფითად მოქმედებს. სწორედ ამ და სხვა მიზეზებმა განაპირობა გაყიდვების შემცირება 3,5%-ით.

2017 წლის საშუალო კურსი იყო 2,5086

2018 წლის საშუალო კურსი იყო 2,5345

2019 წლის საშუალო კურსი იყო 2,8192

2020 წლის პირველი ხუთი თვის საშუალო კურსია 3,0304

ლარის კურსი ასევე ზრდის საიჯარო ხარჯებს, რომელიც ერთ ერთი მნიშვნელოვანი ხარჯია კომპანიის ხარჯების სტრუქტურაში. საიჯარო კონტრაქტები ძირითადად დოლარშია დადებული.

ყველა ამ გამოწვევას კომპანია აქტიურად უმკლავდება და ყველაფერს აკეთებს იმისათვის რომ ბაზარზე მისი პროდუქციის პოპულარობა კიდევ უფრო გაიზარდოს, ხელმისაწვდომი იყოს მოსახლეობის საშუალო ფენისთვის და ჰყავდეს რაც შეიძლება მეტი კმაყოფილი მომხმარებელი.

რისკების მართვა

ისევე როგორც წინა წლებში, 2020 წელს კომპანიის მენეჯმენტი გეგმავს პროდუქციის ასორტიმენტის განახლებას და მომხმარებლებისათვის განახლებული კოლექციის შეთავაზებას. გამომდინარე იქიდან, რომ კომპანიის ერთადერთი მომწოდებელი არის დედა კომპანია, შესაბამისად კომპანიას აქვს იმის შესაძლებლობა, რომ სარეალიზაციო პროდუქცია შეიძინოს შემდგომი გადახდის პირობებით.

პანდემიის გამოცხადებისთანავე კომპანიამ წარმატებით მოილაპარაკა კრედიტორ ბანკთან სესხის გრაფიკის მოდიფიცირებასთან და შესაბამისად გადასახდელების გადავადებასთან დაკავშირებით. ასევე, ბანკის სესხის გადახდის რისკები მინიმუმამდე დაყვანილი, რადგანაც დედა კომპანია აცხადებს მზადყოფნას, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსურად დაეხმაროს შვილობილ კომპანიას.

ბიზნეს გარემო

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, დარგში კონკურენცია მუდმივად იზრდება. ბაზარზე აქტიურად ჩნდებიან ახალი ბრენდები, იხსნება ახალი მოლები და სავაჭრო ცენტრები. კონკურენცია განსაკუთრებით გაიზარდა იმის ფონზე, რომ ქვეყანაში დახურულია საზღვრები, ვერ შემოდიან ტურისტები, რომლებიც ხშირად მოფინავთ იყვან დაკავებული და ამ დარგში მოღვაწე კომპანიების მყიდველთა მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდნენ. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიმდინარე პერიოდში, ყველა კომპანია ცდილობს ფასდაკლებების შეთავაზებით ადგილობრივი კლიენტები „გადაიბირონ“. მუდმივი ფასდაკლებები კი მარყავ და შესაბამისად მოგებაზე უარყოფითად მოქმედებს, თუმცა მუდმივი ფასდაკლებების შეთავაზების გარეშე შესაძლოა კომპანიამ თავისი მომხმარებელი დაკარგოს.

კომპანიის მიერ ჩატარებული კვლევები

2019 წლის განმავლობაში კომპანიას არ ჩატარებია არანაირი სახის კვლევა.

რისკები და გაურკვევლობები

2020 წლის იანვრიდან სწრაფი გავრცელება დაიწყო ახალმა კორონა ვირუსმა, Covid-19-მა. მიმდინარე წლის მარტში მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით გამოაცხადა პანდემია. მთელ მსოფლიოში, მათ შორის საქართველოში დაიხურა საზღვრები, შეწყდა მგზავრთა მიმოსვა, შეჩერდა ყველა სახის ეკონომიკური საქმიანობა მცირე გამონაკლისების გარდა. საქართველოში შეწყდა ტურისტების შემოდინება. ამ მოვლენებმა გამოიწვია ლარის სწრაფი გაუფასურება; გააჩინა გაურკვევლობები ბიზნესისთვის. 2020 წლის 20 მარტიდან 31 მაისის ჩათვლით დახურული იყო კოტონის მაღაზიები. მაღაზიების გახსნის წინა პირობად დასახელდა უამრავი რეგულაცია, რაც ზრდის ადმინისტრაციულ ხარჯებს.



მიუხედავად პანდემიისა, კოტონის მენეჯმენტმა მიიღო გადაწყვეტილება და სამსახური (ხელფასის 50% ანაზღაურებით) შეუნარჩუნა თანამშრომლებს. კომპანია სრულად იცავს რეგულაციებს, რომელიც უზრუნველყოფს როგორც კომპანიაში მომუშავე პერსონალის ასევე მომხმარებლების დაცვას კორონა ვირუსის შესაძლო გავრცელებისგან.

ბოლო წლებში ლარის კურსის გაუფასურების მიუხედავად კომპანია ინარჩუნებდა ფასებს საკუთარი მარჟის შემცირების ხარჯზე. სამომავლოდ შეძლებისდაგვარად გააგრძელებს ამ პოლიტიკას.

კოვიდ-19-ით გამოწვეული გაურკვევლობის მიუხედავად კოტონი საქართველო არ განიხილავს უახლოეს მომავალში რომელიმე მაღაზიის დახურვას. ასევე გაურკვევლობის დასრულებამდე არ განიხილება ბიზნესის გაფართოება/ახალი მაღაზიების გახსნა.

